ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

[illegible]

ოთხშაბათი, 31 მარტი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] 1 თვით 75 მანეთი, ცალკე — ნომ-რის 3 მანეთი. განცხადების ფასი [illegible] პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. [illegible] 4 მან. [illegible] განცხადებები [illegible] 15X3 სტრიქონი [illegible] 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის [illegible]: [illegible] ქ. 4, [illegible] 12-[illegible]. [illegible] 16—[illegible]

№ 73 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 73

შვეიცარული ფეხსაცმელები
კაცის—ქალის—ბავშვის
მცირეასი და უბრალო კოოპერატივებისა და დაწესებულებებისათვის შესაფერი იყიდება მხოლოდ ბითუმად
ფრანკო საწყობი ბათომი.
შერმანი და მეკელი
ბერნი |შვეიცარია| ბათომი--თფილისი--ბაქო
თფილისი, განყოფილება რუსთაველის პრ. (ყოფილი გოლოვინის) № 26.
(1130—1—1)

მიღებულია
სააფთიაქო საქონელი
მედიკამენტები „Ciba"
იყიდება ფრანკო საწყობი ბათომი
შერმანი და მეკელი
ბერნი (შვეიცარია)
ბათომი — თფილისი — ბაქო.
თფილისის განყოფილება: რუსთაველის პრ., № 26
საქართველოს აფთიაქებს საქონელი შეუძლიათ მიიღონ თფილისის განყოფილებიდან. (1130—1—1)

ღრმა მწუხარებით, მეუღლე ილარიონ ივანეს ძე, შვილები და ივანე ილარიონის ძე [illegible], ანასტასია ილარიონის ასული და მდ. რაჟდენ სიმონის ძე [illegible], მარია ილარიონის ასული და პავლე კლემენტის ძე [illegible] და ნინო ამბაკოს ასული [illegible], აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 3 აპრილს (ახალი სტილით) (ხონი) სოფელ [illegible] გადახდილი იქნება ძვირფასი დედის წირვა და პანაშვიდი, მირეულის დაუვიწყარ მეუღლის, მშობლის და მეგობრის საყვარელი დედის და სიდედრის და [illegible]

ვარდიკო კაციას ასული რატიანის

სულის მოსახსენებლათ. წირვა დაიწყ. დილ. 10 ს. (1131—3—1)

შემოქმედის რაიონული სოციალ დემოკრატიული კოლექტივი აუწყებს ამხანაგებს, რომ ტრაგიკულად გარდაცვალებულ საზოგადო მოღვაწის ამხ.

სარა მელიქიშვილის

მექვსე თვის პანაშვიდი გადახდილი იქნება ოთხშაბათს 1 აპრილს ბოხვაურის სასაფლაოზე. (ფ. 1—1)

სამხედრო სასანიტარო სექციის უფროსი და მისი თანამშრომელნი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ და მეგობრებს მათი თანამშრომლის ექიმ

იოსებ ალექსანდრეს ძე სიმონიშვილის

გარდაცვალებას 28 ამა თვეს სამხედრო მოვალეობის ასრულების დროს. პანაშვიდი საღამოს 6 საათზე სამხედრო ჰოსპიტალში, ცხედრის გამოსვენება მოხდება 31 მარტს, დილით ოთხშაბათს დილის 10 საათზე სამხედრო ჰოსპიტალიდან. (1120 1—1)

საგარეჯოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დაუღალავი მუშაკის

ილიკო გიორგის ძე მანველიძის

უდროოთ გარდაცვალების, დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს 31 მარტს. (ფ. 1—1)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის
აბრეშუმის ჭიის თესლი
შემოწმებული თფილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.
(ყვითელი, ფრანგული ჯიშის)
„დ. დ. დეკანოზიშვილის"-ფირმისა.
დუშეთის ქუჩა, № 21, ბინა მექანიკოშვილისა. (1129 5—1)

მიწათმოქმედების სამინისტროს თფილისის მებოსტნეობის
პრაქტიკულ სკოლაში მიიღება
დაკვეთა ყოველგვარი ბოსტნეულის ნერგებზე
მისამართი: [illegible] შესახვევი № 4. სკოლის გამგე ა. [illegible]. (ნ. 6—4)

გურიის სოციალ-დემოკრატიულ სამაზრო კომიტეტის

სხდომა

დანიშნულია 3 აპრილს ქალაქ ოზურგეთში. (უ. 1—1)

ექიმი ბ. ა. ოქრომჭედლიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, სოლოლაკი.
(ნ.—ო.)

„ანტანტის" პრესა და ბათუმი

ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა ამიერ-კავკასიაში ბ-მა ოლივერ უორდროპმა თავისი საპასუხო სიტყვაში, რომლითაც მან მიმართა 19 მარტს გამართულ მანიფესტაციაზე შეკრებილ თფილისის მცხოვრებთა დელეგაციას, სხვათა შორის, ასეთი აზრი გამოსთქვა: ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადებაში „მე ვერ ვხედავდი ქართველი ერისათვის უკმაყოფილების მიზეზს, რომელიც, წინააღმდეგ, ასეთ გადაწყვეტილებით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რადგან ბათუმი იქნებოდა ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში, რომელიც საქართველოსაც ევროპას უშუალოდ დაუახლოვებს".

დაახლოვებით ასეთივე აზრი გამოსთქვა საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა ბ. დე-მარტელმა იმ სიტყვაში, რომლითაც მან მიმართა საქართველოს მთავრობის საგანგებო წარმომადგენელს ბ. ხოშტარიას: „მე ვფიქრობ, სთქვა მან, რომ დროებითი ნეიტრალიზაცია ბათუმისა — საქართველოსათვის სასარგებლოც კია". ამას ბ-ნი დე-მარტელი იმ მოსაზრებით ასაბუთებს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს არ შეუძლიათ არსებობა, თუ ერთმანეთს შორის შეთანხმება არ განამტკიცეს, მაგრამ ამნაირს შეთანხმებას ისინი ვერ მოახერხებენ გარეშე ძალის დაუხმარებლად. „ანტანტის" სახელმწიფოები საქმეში რომ არ ერეოდნენ, ამიერ კავკასიის რესპუბლიკები „ერთმანეთს დაასჭამდნენ", როგორც ამას წინათ ამტკიცებდა ერთი ინგლისური გაზეთი.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გაზ. „ტაიმსიდან" გადმოთარგმნილ წერილიდან მკითხველი დაინახავს, რომ ეს აზრი ძლიან გავრცელებული ყოფილა ანტანტის სახელმწიფოებში. „ტაიმსი" ინგლისის სარდლობის აქ ყოფნას აწერს იმ შეთანხმებას, რომელსაც მიაღწიეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა, და ფიქრობს, რომ ამ „მეთაურ ნეიტრალურ ძალის" მიერ ბათუმის მიტოვება გაამწვავებს მათ ურთიერთობას.

ამით ასაბუთებენ „ანტანტის" წარმომადგენლები იმ სარგებლობას, რომელიც მოჰყვება საქართველოსთვის ბათუმის „პორტო-ფრანკოთ" გამოცხადებას. თუნდაც რომ გადაჭარბებული არ იყოს ის მნიშვნელობა, რომელსაც აწერენ „ანტანტის" წარმომადგენლები მოკავშირეთა ჯარის ყოფნას ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა შორის შეთანხმების საქმეში, მაინც უნდა ვთქვათ, რომ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს ბათუმის „პორტო-ფრანკოთ" გამოცხადების საჭიროება და ბათუმ-აჭარის საქართველოს სხეულიდან მოკვეთა, აქედან სრულებითაც არ სჩანს ის, რომ საქართველო „კმაყოფილი უნდა იყოს" „ანტანტის" ამნაირი გადაწყვეტილებით. მართლაც და, რაა საერთო ინგლისის ჯარების ნაწილების ამიერ კავკასიაში ყოფნასა და ბათუმის თავისუფალ ქალაქად აღიარების შორის? განა არ შეიძლება ინგლისის ჯარის ნაწილები ამიერ-კავკასიაში დატოვება ისე, რომ ბათუმ-აჭარა არ მოკვეთილიყო საქართველოს სხეულისაგან? ნუ თუ ინგლისის ჯარის დარჩენა უთუოდ მოითხოვდა საქართველოს ცოცხალ ორგანიზმის დაჭრას?

იმ დასაბუთებიდან, რომელსაც „ანტანტის" წარმომადგენლები აძლევენ ბათუმის „თავისუფალ ქალაქად" გამოცხადებას, აშკარაა, რომ მათ კარგათ არ აქვთ გათვალისწინებული ბათუმ-აჭარის მნიშვნელობა საქართველოსთვის და ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც აყენებს საქართველოს მისი მოკვეთა. „ანტანტის" წარმომადგენლებს ვერ შეუთვისებიათ ის აზრი, რომ ბათუმის ჩამოშორება ყოველმხრივ ასუსტებს საქართველოს, აბრკოლებს მის სახელმწიფოებრივ მოძრაობის თავისუფლებას და დამბლას უმზადებს მის ორგანიზმს.

ბათუმის მოკვეთასთან პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი სასურსათო კრიზისი, რადგან სწორედ აქ არის, რომ სპეკულაცია გზაში გაწოლილა, როგორც საზღვარი ევროპასა და საქართველოს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლას აბრკოლებს. ბათუმის ჩამოშორებასთან დაკავშირებულია ჩვენი ფინანსიური კრიზისი, რადგან ბათუმის სპეკულაცია ხელოვნურათ სცემს ჩვენი ფულის კურსს შედარებით ევროპის სახელმწიფოთა ფულის ნიშნებთან. ბათუმ-აჭარის მოკვეთა სრულიად ასუსტებს ჩვენი ქვეყნის თავისი დაცვის უნარს, რადგან ეს მხარე გადაქცეულა ყოველნაირი ავანტიურისტების საბუდრად, რადგან ამ მხარეში ბოლშევიკ-პანისლამისტები თვალდათვალ ამზადებენ საქართველოზე თავდასხმას და ამის გამო საქართველოს სამხედრო ძალას თავისუფლად მოძრაობა არ შეუძლია ჩრდილოეთიდან მომდგარ მტრის მოგერიების მოსაწყობად. ბათუმ-აჭარის მოკვეთა კულტურულად აქვეითებს ჩვენს ერს, რადგან მას, ჯერ ერთი, რიცხვით ასუსტებს, მეორე, მას აშორებს იმ ნაწილს, რომელშიაც დაცულია უძველესი ქართული კულტურა.

ვერ აიღებთ ცხოვრების ვერც ერთს მხარეს, რომელზედაც მტკივნეულად არ ემჩნეოდეს ბათუმ-აჭარის მოკვეთა საქართველოს სხეულიდან. და სცდებიან „ანტანტის" წარმომადგენლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ბათუმის „თავისუფალ ქალაქად" გამოცხადებამ „კმაყოფილება" უნდა გამოიწვიოს ქართველ ერში.

„ტაიმსის" წერილიდან სჩანს, რომ ინგლისს ერთი დიდი შეცდომა უკვე ჩადენილი ბათუმში: შეცდომა გაზეთის სიტყვით იმაში მდგომარეობდა, რომ ინგლისის სარდლობამ ბათუმში დენიკინის ბონები გამოაცხადა ფულად, და საქართველოს ბონები კი აკრძალა. ინგლისის სარდლობას შეგნებული აქვს ის დიდი ზიანი, რომელიც მან მიაყენა ამით საქმეს. „პორტო-ფრანკოს" გამოცხადებით „ანტანტა" უფრო დიდს შეცდომას იდენს, რადგან ამით ბათუმში აძლიერებს ბოლშევიკ-პანისლამისტების ავანტიურას, იმ ძალას, რომელიც ანარქიის მატარებელია და რომელიც დაუსრულებელი შფოთის და ომის წყაროთ გადაიქცევა ამიერ-კავკასიისათვის, და ასუსტებს იმ ძალას, რომელიც ერთად-ერთს შეუძლიან შექმნას ბათუმ-აჭარაში წესიერება და პერმანენტი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

საქ. დამფ. კრების მიმართვა მოკავშ. სახელმწიფ. პარლამენტებისადმი

საქართველოს მთავრობას 29 თებერვალს ოფიციალურად ეცნობა, რომ უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ქ. ბათუმი ცხადდება პორტო-ფრანკოთ მცირე დამოუკიდებელი ტერიტორიალური ზონით.

დიდი აღელვება და მწვავე გულის ტკივილი გამოიწვია ქართველ ერში ამ ცნობამ.

ამ ორი თვის წინ მთელი ჩვენი ერი მოკავშირეთა მიერ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობას დღესასწაულობდა. ჩვენი ხალხი მოელოდა, რომ დამოუკიდებლობის ცნობას ბუნებრივ შედეგად მოჰყვებოდა ქ. ბათომისა და მისი ოლქის საქართველოსათვის დაბრუნება.

ეს მხარე—სამხრეთი საქართველო—შავი ზღვის ნაპირებზე მდებარე, უძველესი დროიდან წარმოადგენდა საქართველოსათვის ევროპისაკენ მზირალ თვალს. თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნების ზღაპრული სიუხვის წყალობით, ის ახალი ერის მეორე საუკუნიდან საქართველოს კულტურისა და პოლიტიკური განახლების ბურჯად შეიქნა. უთვალავი ნაშთები დიდებული ციხე ეკლესიებისა, ძველებური გზა-ტკეცილებისა, ხიდებისა და წყალ-სადენებისა დღესაც ბრწყინვალე წარსულის ცოცხალ მოწმედ დარჩენილა. ძველი საქართველოს ცხოვრების უბრწყინვალესი კულტურულ-ისტორიული ხანა 10—12 საუკუნეები,—სამხრეთი საქართველოდან მოდენილი ნაკადის გავლენით იყო აღბეჭდილი. ეს კუთხე წარმოადგენდა საქართველოს ბუნებრივ ციხე სიმაგრეს, რომელიც იცავდა მას და მის კულტურას ბარბაროსთა შემოსევისაგან. მეთხუთმეტე საუკუნეში ბიზანტიის ოსმალოთაგან დაპყრობამ ჩასტეხა ხიდი საქართველოსა და ევროპას შუა. საქართველო განმარტოებული დარჩა და ორი საუკუნის უთანასწორო ბრძოლაში დაჰკარგა თავისი სხეულის საუკეთესო ნაწილი: ოსმალეთმა მეჩვიდმეტე საუკუნეში მოჰგლიჯა მას ბათომ-არტაან-ოლთისა და მესხეთ-ჯავახეთის მხარე. მაშინ საქართველოს საერთო პოლიტიკური თვითარსებობის უმთავრესი სიმტკიცე და ევროპასთან ურთიერთობის უძველესი საფუძველი.

იმ განუკურნებელმა წყლულმა აიძულა უთვალავ მტრებთან ბრძოლაში დაუძლურებული საქართველო თავისი ნებით შეჰკედლებოდა 1801 წ. რუსეთს. რუსეთის თვითმპყრობელობამ ტლანქად დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება და სრულიად მოუსპო მას დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

არა ერთი ეროვნული საუნჯე დაუკარგავს საქართველოს რუსეთის მფლობელობაში, არა ერთი დამცირება და დევნა განუცდია. მაგრამ რუსეთის ბატონობის დროს მე 19 საუკუნის განმავლობაში, მან დაიბრუნა ნაწილი სამხრეთი საქართველოსა, თუმცა თითქმის სავსებით გამაჰმადიანებული ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ ენით, კულტურით, მთელი თავისი ბრწყინვალე ისტორიული წარსულით განუყრელად დაკავშირებული დედა სამშობლოსთან. ეს გარემოება გახდა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში საქართველოს კულტურულ ეკონომიური აღორძინების ფაქტორად და ქ. ბათუმი—საუკეთესო პორტი საქართველოსი შავი ზღვის სანაპიროებზე—ევროპისაკენ ფართოდ გაღებულ კარად გადაიქცა.

როცა დაირღვა ძველი რუსეთი და საქართველო საკუთარი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გზას დაადგა, საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით კვლავ ჩამოჰგლიჯა მას ბათომ-არტაან-ოლთის მხარე. საქართველო ვერ შეურიგდა ამ ძალადობას და საუკეთესო შვილთა სისხლით შეეცადა ბათომის შენარჩუნებას. მაგრამ რუსეთისაგან ნაანდერძევი ანარქიის გამო ვერ შესძლო და ბათომის მხარემ ამ ორი წლის წინ კვლავ განიცადა საშინელება ოსმალეთის ოკუპაციისა.

საქართველოს საბედნიეროთ მოკავშირეთა გამარჯვებამ გააუქმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობა, საქართველოს ამ ხელშეკრულობაზე ხელი არ მოუწერია—პირიქით, ის მოკავშირეთა მხარეზე იბრძოდა ამ ხელშეკრულობის წინააღმდეგ და ფაქტიურად ანტანტის მოკავშირე იყო. ასე იყო არა მარტო ბათომის დაცვის დროს. ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველო რუსეთის ნაწილს შეადგენდა: მისი საუკეთესო შვილნი, რომელთა რიცხვი 200,000 აღემატებოდა, თავგანწირვით იბრძოდნენ რუსეთის ყველა ფრონტებზე. მათი სახელოვანი გმირობა აღტაცებას იწვევდა როგორც რუსეთის ხალხისა და მხედრობისას, ისე მოკავშირეთა წარმომადგენლებისას. ამ გვარად მოკავშირეთა საერთო გამარჯვებაში ქართველმა მხედრობამაც თავისი წვლილი შეიტანა: საქართველომ უდიდესი მსხვერპლი გაიღო და ჰქონდა უფლება დაიმედებული ყოფილიყო, რომ მოკავშირეთა სახელმწიფონი მას მოეპყრობოდნენ როგორც [illegible], რომელიც მათთან ერთად იბრძოდა და არა როგორც დამარცხებულ მოწინააღმდეგეს, რომ ამ საერთო გამარჯვების შემდეგ საქართველოს არა თუ არაფერი წაერთმეოდა, არამედ დაუბრუნდებოდა ოსმალეთის მიერ წაგლეჯილი უძველესი ტერიტორია. ეს იქნებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულობის გაუქმების ბუნებრივი შედეგი საქართველოსათვის.

მაგრამ საქართველოს ხალხის ეს კანონიერი მოლოდინი ჯერ ვერ განხორციელდა.

ამ ჟამად ბათომი მოკავშირეთა ხელშია. ხოლო ბათომის ოლქი უპატრონოდ არის მიტოვებული. იმ დროს, როცა საქართველო მშვიდობიანი ცხოვრების წესიერი მიმდინარეობით მტრების თვალშიაც სანაქებო კუნძულს წარმოადგენს გარეშემო გამეფებული ანარქიის ზღვაში, ქ. ბათომსა და მის ოლქში ბატონობს თავაშვებული სპეკულაცია, საშინელი სიძვირე, შიში ღამე და ანარქია. აქ ცარცვა-გლეჯა და კაცის კვლა ჩვეულებრივ მოვლენად გადაქცეულა. ქ. ბათომში უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ორჯერ ჰქონდა ადგილი პოგრომს, რაც სრულიად უჩვეულო და უცხოა საქართველოსათვის. ამგვარად დასნეულდა საქართველოს სხეულს მოწყვეტილი მისი ორგანიული ნაწილი.

ასეთმა მდგომარეობამ სამუსლიმანო საქართველოს ბუნებრივი გულის წყრომა გამოიწვია: ჯერ კიდევ შარშან აგვისტოში დაადგინა მთელი აჭარის მეჯლისმა — ხალხის წარმომადგენელთა კრებამ—საქართველოსთან შეერთება და საგანგებო დელეგაციას დაავალა ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად მოქმედება. ამა წლის თებერვალში ქ. ბათომმა მუნიციპალიტეტის არჩევნებში ქართველების თანამოქალაქე უმრავლესობა აღჭურვა თავისი ნდობით და მით საქვეყნოდ განაცხადა ერთსულოვანი, ურყევი სურვილი საქართველოსთან შეერთებისა. ეს მოხდა მიუხედავად ქალაქის უცხო ძალების მიერ ოკუპაციისა, მიუხედავად ქართველების აშკარა დევნისა და მით მათი ძალების დაქსაქსვისა—რამდენად ბუნებრივია არჩევნების ეს შედეგი, ამას სხვათა შორის მოწმობს ისიც, რომ ქ. ბათუმში საქალაქო დებულების შემოღების დღიდან 1888 წლიდან გარდა რუსეთის მთავრობის მიერ დანიშნული

დღეს

საბჭოთა რუსეთის სახელით ჩიჩერინი თანხმობას აცხადებს დაიწყოს საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან და ლატვიასთან.

მოკავშირეთა ჯარების მთავარ სარდლათ სტამბოლში დაინიშნა ინგლისის გენერალი მილნი.

ფრანგული პრესის ცნობით მთავრობის კრიზისი გერმანიაში ჯერ არ დამთავრებულა.

რურის ოლქში ბრძოლა გრძელდება.

პირველი მოურავისა, ბათუმის სულ-ყველა მოურავები ქართველები ყოფილან. ბათომი მუდამ ქართული ქალაქი იყო და დღესაც ასეთია.

ბათომის ოლქის ქართველობა (რომელიც მცხოვრებთა 95 პროცენტს შეადგენს) დღეს ფაქტიურად უპატრონოდ დარჩენილი, მ ქალაქობრივ წესიერებას მოწყურებული, მოციქულს მოციქულზე უგზავნის საქართველოს—მფარველობას, წესიერების დამყარებას, ჯარების გაგზავნას ოლქში.

მაგრამ საქართველო დღემდე ელოდებოდა თავისი უცილობელი უფლების აღსარებას—მოკავშირეთა მიერ ბათომის ოლქის საქართველოს წიაღში დაბრუნებას და სამაჰმადიანო საქართველოსაც ამავე იმედით აშოშმინებდა. საქართველოს ხალხს სწამდა, რომ მისი დამოუკიდებლობის ცნობა აუცილებლად გულისხმობდა ბათომის საკითხის მის სასარგებლოდ გადაჭრას. უამისოდ თვით დამოუკიდებლობის ლიტონი პრინციპი შეუსაბამოდ უნდა გადაქცეულიყო; ვინაიდან როგორც ცოცხალ არსებას ვერ ვეტყვით—იცოცხლე, მაგრამ ნუ ისუნთქებო—ისე საქართველოსთვის არ ითქმის—იყავი თავისუფალი, ხოლო ბათომის ოლქი დაუთმეო.

საქართველოს ხალხმა მწარე ისტორიული გამოცდილებით იცის უბათომოდ ის მუდამ [illegible] იქნება; იცის ისიც, რომ ბათომის ოლქის საზღვრები მისთვის ბუნებრივი სიმაგრეა აღმოსავლეთის მტრისა—ეს საზღვრები მას საშუალებას მისცემს მცირედი ჯარით უზრუნველყოს ქვეყანა შემოსევებისაგან — ხოლო ბათომის ოლქის მოკლება აიძულებს მუდამ ომისა და თავდასხმის საფრთხის წინაშე იდგეს და შინაგანი კეთილდღეობის მოწყობა ფუჭ ოცნებად გადაექცეს.

აი რა იყო მიზეზი ერის გულის წყრომისა მარტის 19-ს, როცა მთელ საქართველოს მოედო ცნობა უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებისა ბათომის შესახებ. ამ დღეს მთელი საქართველო ფეხზე დადგა—დამფუძნებელი კრების ირგვლივ ხალხი მოაწყდა—ხალხი მოითხოვდა დამფუძნებელი კრებისა და მთავრობისაგან გაბედულ გზას დასდგომოდნენ ბათომის ოლქის შემოსაერთებლად. ამავე დროს სამაჰმადიანო საქართველოდანაც მრავალი საპროტესტო დეპეშა მოვიდა იმავე მოთხოვნილებით; ბათომის ოლქიდან ჩამოსული დელეგაციები ითხოვდნენ ბათომის ოლქის ბედის საქართველოს სასარგებლოდ გადაჭრის დაჩქარებას.

უდავოა საქართველოს უფლება ბათუმსა და მის ოლქზე და უფლება იგი არ უნდა იქნეს მოკავშირეთაგან უარყოფილი და გათელილი. ამას მოითხოვს საერთაშორისო სამართალი და ზნეობრივი სამართლიანობა, ამას მოითხოვს მოკავშირეთა ღირსება, მათ დროშაზე წარწერილი დემოკრატიული პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა და თვით მათი ინტერესები.

საქართველომ შესძლო მოეწყო დემოკრატიული სახელმწიფო, დაემყარებინა სახელმწიფოებრივი წესრიგი და დაეცვა თავი ბოლშევიკური სამოქალაქო ომისა და ანარქიისაგან. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიისა და მცირე აზიისთვისაც. ბოლშევიკები ცდილობენ სამოქალაქო ომის ცეცხლი აზიაში გადაიტანონ. ამიერ-კავკასია აზიასა და ბოლშევიკურ რუსეთს შუა აღმართული სიმაგრეა და ვიდრე ამიერ-კავკასიაში მტკიცეა დემოკრატიული წყობილება, ბოლშევიკების ცდაც უნაყოფო იქნება. ამიტომ მოკავშირეთა მიერ უარყოფილი უნდა იქნეს ყოველივე, რაც ამ დემოკრატიულ კედლებს შლის და ამიერ-კავკასიაში ანარქიის დამკვიდრებას ხელს უწყობს. ის მეზობლობა კი, რომელიც ამ ჟამად ბათომსა და მის ოლქში სწარმოებს, ხელს უწყობს ამიერ-კავკასიაში ანარქიის დამკვიდრებას და ქართველ ხალხს საშუალებას უსპობს მთელი თავისი ყურადღება და ენერგია მიმართოს ჩრდილოეთის საფრთხისაკენ, მოიგერიოს [illegible] ხიშტები, შინაგანი სიმტკიცე თავისი დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის დასაცავად. მეორის მხრით სამუსლიმანო საქართველოს საუკუნოებრივი წყლულებიც დაუყონებლივ მოშუშებას მოითხოვს.

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ბათომის საკითხის ასეთი მდგომარეობის გამო იქონია მსჯელობა მარტის 19-ს სხდომაზე და დაადგინა: დაევალოს პრეზიდიუმს მიმართოს მოკავშირეთა სახელმწიფოების პარლამენტებს, რათა მათ მხარი დაუჭირონ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების განხორციელებას ბათომისა და ბათომის ოლქის საქართველოსთვის დაბრუნების საკითხში.

დამფუძნებელი კრების დადგენილების თანახმად პრეზიდიუმი მიმართავს მოკავშირეთა სახელმწიფოების პარლამენტს მტკიცე რწმენით, რომ ამ სახელმწიფოების ხალხთა ნების გამომხატველი უზენაესი დაწესებულებანი სრული თანაგრძნობით შეხვდებიან ქართველი ერის მიმართვას.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ა. ლომთათიძე.

ეროვნულ უმცირესობათა შესახებ

დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში საქართველოში არსებულმა სომხეთა ნაციონალურმა საბჭომ წარადგინა შემდეგი პროექტი სომხეთა ნაციონალური თვითმართველობისა.

1) საქართველოს ფარგლებში მცხოვრები სომხები შეადგენენ სომხეთა ნაციონალურ თვითმართველობას.

2) ნაციონალური თვითმართველობა ხორციელდება ნაციონალური კრების საშუალებით და მისი აღმასრულებელი ორგანო არის—ნაციონალური საბჭო.

3) ნაციონალური კრება აირჩევა პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო წესით. მის მოწვევის დროს აწესებს თვით ნაციონალური კრება, ნაციონალური საბჭო მოქმედებს იმ უფლების ფარგლებში, რომელიც მინიჭებული აქვს მას ნაციონალური კრების მიერ.

4) ნაციონალური კრება და საბჭო წარმოადგენს საჯარო-უფლებიან [illegible] ორგანოებს, რომლებიც აღჭურვილი არიან იურიდიულ პირობების ყველა უფლებით. ნება აქვთ შეიძინონ და გაასხვისონ (отчуждать) როგორც მოძრავი, აგრეთვე უძრავი ქონება კანონის მიერ მინიჭებულ ფარგლებში.

5) სომხეთა ნაციონალური თვითმართველობის ქონება შეადგენს საქართველოს სომხეთა საკუთრებას.

6) ნაციონალური კრების წევრები საზოგადო კრებებზე სარგებლობენ სიტყვის თავისუფლებით ისევე, როგორც კანონ-მდებელ ორგანოს წევრები. დანაშაულობისათვის ნაციონალური საბჭოს და კრების წევრები, რადგანაც ისინი ითვლებიან ამ ორგანოების წევრებად, ისჯებიან [illegible] სასამართლოს წესით.

7) იმ რაიონებში, სადაც სომხეთა მოსახლეობა შეადგენს მთელ მცხოვრებლების არა ნაკლებ 15 პროცენტისას (ქალაქი, მაზრა, თემი, სოფელი). სომხური ენა სრულ უფლებიანია სახელმწიფო ენასთან: ადმინისტრატიულ ადგილებში, თვითმართველობებში, სასამართლო დაწესებულებებში, საჯარო კრებებზე და ფოსტა-ტელეგრაფში. ამასთანავე ეს ზემოხსენებული დაწესებულებანი მოვალენი არიან მიიღონ სომხებისაგან, როგორც ზეპირი, აგრეთვე წერილობითი განცხადებები სომხურ ენაზე და სომხურადვე გასცენ პასუხი.

8) კანონმდებლობით ორგანოებში სომხური ენა სრულ უფლებიანია სახელმწიფო ენასთან, და ყველა საერთო სახელმწიფოებრივი კანონები და ცენტრალური მთავრობის განკარგულებანი ცხადდება ქართულ ენასთან ერთად სომხურ ენაზედაც. ამასთანავე აქვეყნებენ სომხურ ენაზე ყველა ადმინისტრატიულ დადგენილებებს. თვითმართველობების და სასამართლო დაწესებულებათა დადგენილებებსაც იმ რაიონებშიაც, რომელიც აღნიშნულია მე 7 მუხლში.

9) სომხური ენის უფლება, რომელიც აღნიშნულია მე-6 და მე 7 მუხლში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სპეციალური კანონით.

10) სომხეთა ნაციონალურ თვითმართველობის კომპეტენციაში შედიან: ა) წარმომადგენლობა და დაცვა სომხეთა დაწესებულებების და სომხეთა ინტერესებისა: როგორც კერძო პირთათვის, აგრეთვე ჯგუფებისა; ბ) საქმეების მართვა: სახალხო განათლების და ნაციონალური კულტურის სფეროში დახმარება სომეხ მცხოვრებთ. სურსათით, დახმარება სამუშაოთი, ზრუნვა ჯანმრთელობაზე.

11) სომხეთა სახალხო განათლების საქმე ეკისრება სომხეთა ნაციონალურ საბჭოს ხელშია. სკოლებში სწავლა სომხურ ენაზე სწარმოებს. სამოსწავლო პროგრამების შედგენა და დამტკიცება, როგორც დაბალ, საშუალო, აგრეთვე უმაღლეს საერთო განათლების და სპეციალურ სასწავლებლებში სომხეთა ნაციონალურ თვითმართველობის ხელშია. სასწავლებლების მართვა—გამგეობაც ნაციონალურ თვითმართველობის ხელშია. უმაღლეს პირველ დაწყებით და საშუალო სასწავლებლებში სავალდებულოა ქართული ენის სწავლება.

12) სომხეთა ნაციონალურ თვითმართველობას სახალხო განათლების და ნაციონალური კულტურის განვითარებას საქართველოსათვის ეძლევა თანხა სახელმწიფო ხაზინიდან და თვითმართველობიდან პროპორციონალურად მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით.

13) სომხეთა ნაციონალურ საბჭოს უფლება აქვს გადასახადი შეაწეროს სომხებს იმ საქმის საჭიროებისათვის, რომელიც მის კომპეტენციას შეადგენს.

14) სომხეთა ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელი მთავრობის სხდომაზე სარგებლობს მინისტრის უფლებით.

„ტაიმს"-ი ბათუმის შესახებ

23 თებერვლის „ტაიმს"-ში მოთავსებულია შემდეგი ტელეგრამით გადაცემული ცნობა კონსტანტინოპოლიდან:

„აქ მოელიან ბათუმიდან მიმავალ ბრიტანეთის ჯარების პირველ ეშელონს. აქ მოელიან, რომ ქალაქს ქართველი ჯარები დაიკავებენ; მაგრამ საეჭვოა, შესძლებენ თუ არა ისინი წესრიგი დაამყარონ ბათუმის ოლქში, რომელსაც თარეშობი ბანდები ემუქრებიან. პირველი ბანდები ბოლშევიკებს თანაუგრძნობენ.

ბრიტანეთის სამხედრო ძალა-უფლებამ ბათუმში, რომელიც ძალიან ბევრს მუშაობს სხვა მხრივ, გადადგა ერთ მხრივ ისეთი ნაბიჯი, რომელიც შემდეგ შემცდარი აღმოჩნდა: მან ბათუმში გააძლიერა დონის ფულის ტრიალი თფილისის ფულის ტრიალის მაგივრათ. დენიკინის უკან დახევამ, რასაკვირველია, გამოიწვია დონის ფულის კურსის დაცემა, რაც ბათომის ბაზარსაც დაეტყო; ამას მოყვა შედეგათ ფასების ზრდა და ფინანსიური პანიკა, რაზედაც გავლენა მოახდინა წითელმა პროპაგანდამაც.

მაგრამ წითლებზე უფრო საშიში ოსმალეთის ნაციონალისტური ბანდებია, რომლებსაც მხარს უჭერენ: ოსმალეთის ნაციონალისტური ორგანიზაცია, ენვერისა და ნურის პანისლამისტური ორგანიზაცია, რომელიც ანატოლიაში და ამიერ კავკასიაში მუშაობს. ოსმალეთის [illegible] მიმდინარეობათა ინტერესი ამ უკანასკნელ ოლქში დიდი ხანია ცნობილია. ოსმალურ ენაზე მოლაპარაკე ბათუმის ოლქში მცხოვრებთა შორის დიდი ხანია სწარმოებს აქტიური პროპაგანდა და, ამბობენ, რომ ამ პროპაგანდამ უკვე გადაიბირა ქართველი მუსულმანები.

ერთად-ერთი სარგებლობა, რაც ბათომის ევაკუაციას მოყვა შედეგათ, ეს კონსტანტინოპოლში ბრიტანეთის ძალების გაძლიერებაა. მეორე მხრივ სჩანს, რომ ევაკუაცია მომხდარა მეტად არა ხელსაყრელ მომენტში. როგორც გასულ ზაფხულში მომხდარი სამსუნის ევაკუაცია, ისე ეხლანდელი ევაკუაციაც უეჭველად გაამხნევებს ოსმალეთის ნაციონალისტებს მათი ავანტიურათა პოლიტიკისათვის. კიდევ მეტიც, ეს ევაკუაცია დამაღონებელი იქნება ამიერ-კავკასიის ამ ელემენტებისათვის, რომლებიც ჩვენგან მოელიან ხსნას რუსეთის ან ოსმალეთის თავდასხმისაგან.

ჩვენი პოლიტიკა ამიერ კავკასიაში უკანასკნელ ხანებში მეტად ნაყოფიერი იყო. ამ პოლიტიკის მიზანი იყო მეგობრულ დამოკიდებულებათა დამყარება სომხეთა, თათართა და ქართველთა რესპუბლიკებს შორის და თუმცა ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ამ პოლიტიკას დასაწყისი კარგი იყო. მაგრამ თუ არა სამხედრო ოკუპაცია ბათუმის—ამიერ-კავკასიის დასავლეთის პუნქტისა—ჩვენი დიპლომატიური ნაბიჯები, როგორიც [illegible] მეოთხე ნეიტრალური პარტიისა ამ სამ რესპუბლიკათა შორის ატეხილ უთანხმოებათა მოგვარების დროს,—არ შეიძლება ნაყოფიერი იქნეს.

უნდა ვუფრთხილდეთ ჩვენი ჯარების გაყვანას ამ მომენტში, როცა ანტანტა ამ რესპუბლიკებს პირდება დახმარებას გარეშე მტრის წინააღმდეგ ეს გარემოება იქ მოახდენს ცუდ შთაბეჭდილებას, განსაკუთრებით სომხეთში. ისინი იფიქრებენ, რომ ჩვენ არ ძალგვიძს დახმარება მივსცეთ ჩვენთან მეგობრულად განწყობილ ელემენტებს.

ჯარების გაყვანა პოლიტიკური მოსაზრებით ხდება თუ სამხედროთი, არ არის გამორკვეული, მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ზომის მიღება გამოიწვია აუცილებლობამ სამხედრო, ანუ სამოქალაქო მმართველობისაგან. ზოგიერთი არა კეთილი კრიტიკოსები ამ ზომას ხსნიან, როგორც მუშათა პარტიის სურვილების დამაკმაყოფილებელ ზომას, იმ მუშათა პარტიის, რომელსაც ბათუმი რუსეთს ჰგონია. მაგრამ ჯერ კიდევ საკითხავია, დაკმაყოფილდება თუ არა მუშათა პარტია იმ ფაქტით, რომ სომხეთის რესპუბლიკა ახლა უფრო გაცალკევებულია, ვინემ ოდესმე.

ჩრდილო კავკასიაში

დერბენტის აღება

ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის დროებითი საბჭოს საინფორმაციო განყოფილება იტყობინება: 24—25 მარტს ღამით ჩვენმა ნაწილებმა დერბენტი აიღეს. ქალაქს „მოხალისეთა" რაზმები იცავდნენ; ნაწილი დამცველ რაზმებიდან ჩვენსკენ გადმოვიდა, ნაწილი კი, დატყვევდა. გასაქცევი გზა გადაჭრილი იყო: არც ერთი გემი ნავთსადგურში არ იდგა. მხოლოდ ზოგიერთები გაიქცნენ ზღვის ნაპირებით; მათ დასაჭერათ მიღებულია ზომები.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

30 მარტი.

ლონდონის რადიო-სადგურიდან

(ინგლისურ ენაზე)

მოკავშირეთა ჯარების მთავარ-სარდალი

„ჩიკაგო ტრიბუნმა" გვამცნო, რომ გენერალი ფრანშე დესპერი ევროპის ოსმალეთში მყოფ მოკავშირეთა ჯარების სარდლობისაგან განთავისუფლებულია და მის მაგიერ ინგლისელი სარდალი დაინიშნება. ამის შემდეგ გენერალი ფრანშე დესპერი იქნება მცირე აზიაში მყოფ მოკავშირეთა ჯარის სარდალი. აქ მან უნდა ჩააქროს მუსტაფა-ქემალის მიერ მოწყობილი აჯანყება. თავის თავად ცხადია, რომ კონსტანტინოპოლის სექტორი ინგლისის ჯარის გენერალ მილნის სარდლობის ქვეშ იქნება.

ფრანგული პრესის ცნობები.

გერმანიაში.

გერმანიაში მთავრობის კრიზისი გრძელდება. მიულერის კაბინეტში კიდევ მოხდა ცვლილებანი. კოალიციურ მთავრობის სამ ჯგუფს შორის თითქოს პორტფელთა განაწილებაში შეთანხმება მოხდა. სოციალისტური უმრავლესობა ღებულობს 5 ადგილს, ამაში შედის კანცლერის პოსტიც, დემოკრატები და ცენტრი ღებულობენ 4 ადგილს, ერთად ერთი დამოუკიდებელი, რომელიც სოციალისტურ ელემენტებს მიეკუთვნება, ეს [illegible] ნოსკესა და შიფერის მოშორება. იტყობინებიან რურში ვეზელის სამხრეთით მომხდარი შეტაკებების შესახებ. ჯარები ყოველ გვარ ძალას ხმარობენ, რომ მისვლა-მოსვლა გახსნან ჰოლანდიასთან.

საზავო ხელშეკრულების ასრულებისათვის.

ბრიუსელიდან მოსული ცნობით 1920 წ. 1[illegible] მარტს მიღებულია 5100 [illegible], 1300 თხა, 3 200 ცხვარი, 250 ცხენი, 424 ხარი, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიამ მოიტანა.

რუმინეთში.

ბუქარესტიდან იუწყებიან: 27 მარტს რუმინეთის პალატა დაიშალა. ტრანსილვანიელთა მეთაურმა მანიუმ სიტყვა წარმოსთქვა ავერესკოს სამინისტროს საწინააღმდეგოთ და განაცხადა, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი მისი პარტია ავერესკოს ნდობას არ უცხადებს. ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე დაუყონებლივ სამეფო სასახლეში წავიდა, საიდანაც მოიტანა დეკრეტი პალატის გაშვების შესახებ.

ელჩთა კონფერენცია.

ჟიულ კამბონი ორშაბათს თავმჯდომარეობდა ელჩთა კონფერენციას, რომელიც უნგრეთის რწმუნებულთა პასუხის შესახებ თათბირობდა. კონფერენციამ დაიწყო თათბირი იმ ზომებზე, რომლებიც მიღებულ უნდა იქნეს, რათა უზრუნველყონ იმ რუსთა ევაკუაცია, რომლებიც ნოვოროსიისკსა და ყირიმში ბოლშევიკების შეტევის საშიშროების წინაშე იმყოფებიან.

ინგლისური პრესის ცნობები.

(ბასრიდან)

ბოლშევიკების საზავო წინადადება ჩეხო-სლოვაკებს.

ბოლშევიკებმა ჩეხო-სლოვაკებს მეორე ნოტა გაუგზავნეს ზავის შესახებ და აცხადებენ, რომ ეკონომიური დამოკიდებულების აღდგენა ორივე მხარისათვის სასარგებლოა. ჩეხო-სლოვაკეთა მთავრობამ ამის შესახებ მოკავშირეებს აუწყა.

ბოლშევიკების ცნობები.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. მარტის 29. დღისის მიმართულებით სოფ. [illegible] რაიონში ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. [illegible] რაიონში სოფ. სლავიანსკის სამხრეთით 10 ვერსით წინ წავიწიეთ. ვოლინის ნოვოგრადის რაიონში ჩვენ რამოდენიმე სოფელი ავიღეთ. [illegible] რაიონში ცვალებადი ბრძოლა გრძელდება.

ნოვოროსისკიდან გელენჯიკისკენ უკან დახეული მტრის ნაწილები ტყვეთ წამოვიყვანეთ, ჩვენი ნაწილი კაბარდინკაზე და გელენჯიკზე გამოვიდა. მაიკოპის რაიონში ტუაპსის რკ. გზაზე ბრძოლაა. [illegible] მიმართულებით წითელმა პარტიზანებმა 150—100 ვერსზე სოფლები აიღეს.

ლენინის სიტყვა

ლენინმა ც. კომიტეტის მოქმედებაზე მოხსენება გააკეთა: როგორ მოხდა ისეთი სასწაული, სთქვა მან, რომ ჩვენ საერთაშორისო და შინაურ ფრონტზე გამოველით გამარჯვებული. ეს მოხდა ხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ პარტიაში მკაცრი დისციპლინა იყო. ამის გამო დაუძლურებულმა ქვეყანამ ძლიერ ქვეყნებზე გაიმარჯვა. ამ გამარჯვებას საფუძვლად ედო ცენტრალიზაცია, დისციპლინა და საშინელი თავგანწირვა. ჩვენ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც მთელ მსოფლიოში უძლიერესნი მთავრობები და კაპიტალის წარმომადგენლები არიან, არ ჰქონდათ შინაური კავშირი. კაპიტალისტურმა საკუთრებამ დაშალა ისინი და მტრებათ გადააქცია, აი ესაა მთავარი მიზეზი ჩვენი გამარჯვებისა. ანტანტის პოლიტიკა, მომართული ჩვენდამი, წარმოადგენს დაშლილ სურათს. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ისინი მთელ მსოფლიოში იძახდნენ, რომ ზავს არ შევკრავთ და ბოლშევიკებს არ დაუწყებენ ლაპარაკს. რას ვხედავთ ჩვენ ნამდვილათ? მოკავშირეები საბჭოთა მთავრობასთან იწყებენ საზავო მოლაპარაკებას. ეხლა ეს მოლაპარაკება ბოლომდე არ მიჰყავთ. ამ ჟამად ანტანტა არც გვეომება და არც ზავით არის ჩვენთან შეკრული. ჩვენი მოწინააღმდეგეების ამგვარი დაშლა ამტკიცებს, რომ ისინი წარმოადგენენ ერთ მუჭა კაპიტ. მხეცებს, რომლებიც ერთი მეორეს ეჩხუბებიან და უძლური არიან რაიმე გააკეთონ. ლატვიის მთავრობამ ოფიციალური წინადადება მოგვცა ზავის შეკვრის შესახებ. ფინეთის წინადადება საზღვრების გამორკვევის შესახებ, ერთგვარი საზავო წინადადებაა. პოლონეთის მიმართ, ამბობს ლენინი, უნდა ვიყოთ განსაკუთრებულ ფრთხილად, რადგან პოლონეთის მთავრობამ თვით არ იცის, თუ რას გააკეთებს იგი ხვალ. შეეხო რა შინაურ პოლიტიკას, ლენინმა სთქვა: ეხლა მთავარი საკითხი წარმოადგენს თუ როგორი უნდა იყოს მმართველობა—კოლეგიალური, თუ ერთპიროვნული, იგი ამ მომენტით უპირატესობას ერთპიროვნულ მმართველობას აძლევს. მომხსენებელი დიდხანს შეჩერდა და დაახლოვებით გამოსთქვა სპეციალისტების მნიშვნელობა მმართველობის საქმეში ადმინისტრატიულ ორგანიზაციებში, სამრეწველოებში და დაწესებულებებში. ჩვენი მეურნეობის აღდგენისათვის ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ყოველი ბურჟუაზიული კლასების ცდით და მომავალი დროისათვის მოვამზადოთ ჩვენი კლასიდან მუშაკები.

საზავო მოლაპარაკება ლატვიასთან და პოლონეთთან.

ლატვიის და პოლონეთის საზავო მოლაპარაკების დაწყების წინადადებაზე ჩიჩერინმა თანხმობა განაცხადა. ლატვიასთან მოლაპარაკება ჩიჩერინის წინადადებით დაიწყება 5 აპრილს პოლონეთთან მოსალაპარაკებლად კი უმჯობესია არჩეული იქნეს რომელიმე ნეიტრალური ქალაქი.

სამოქალაქო ომი გერმანიაში.

ლიონი. 28 მარ. გერმანიის პროლეტარიატის დანარჩენ კლასებთან ბრძოლა სისხლიან კრიზისში შედის, რადგანაც მთავრობის ჯარი მუშათა ჯარს უტევს, ვეზელის დასავლეთით ორჯერ დაამარცხა მუშები. ვეზელის მახლობლად არტილერიით მოკლული იქნა 40 მუშა. საარტილერიო ცეცხლი დემორალიზაციას ახდენს წითლებში, რადგან მათი არტილერია მცირე რიცხოვანია და მოსამსახურეები არ მიჩვეულან მასზე მუშაობას.

კომუნისტების ყრილობა.

დღეს საბჭოთა რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-9 ყრილობა გაიხსნა. ყრილობა გახსნა ლენინმა ცენტრალური კომიტეტის სახელით.

ახალი ამბავი

მუშათა მაგიდა წინადადებას აძლევს იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც არ მიუღიათ სურსათი იანვრის ტალონებით, მიიღონ ასეთი 3 აპრილამდე. 3 აპრილის შემდეგ იანვრის ტალონები გაუქმებულად იქნება გამოცხადებული.

◆ **საქონლის გადამალვის** წინააღმდეგ ქალაქის მოურავმა [illegible] განკარგულება გასცა ქალაქის საბჭოს სასურსათო ზედამხედველობისადმი, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხორცისა და სხვა პირველმოთხოვნილების საგნების დამალვას. მათვე დაევალათ დაუყონებლივ აცნობონ ქალაქის მოურავს ყველა შემთხვევა აღნიშნულ საგნების გადამალვის შესახებ, რათა აღმოჩენილი გადამალული საქონელი გაიყიდოს მცხოვრებთა შორის ამისი ნახევრათ, რაც ნიხრში აღნიშნული.

◆ **სრულიად საქართველოს** მეაბრეშუმეთა ყრილობაზე, რომელიც [illegible] ქ. ქუთაისში [illegible] აპრილს მოწვეულია ყველა ერობათა წარმომადგენლები.

◆ **ნეიტრალური ზონის** კომისარი აცნობებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ სოფ. ალიავერდში, შამბულაგში, ბელენიკში და ალტაღაში შიმშილობაა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე მიიღო საჭირო ზომები.

◆ **წყალდიდობის მოლოდინში.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა მაზრის კომისრებს, რათა თფილისის ქალაქის თვითმართველობას მიაწოდონ ყოველდღე ცნობები მდ. მტკვრის, არაგვისა და ლიახვის სათავეების მდგომარეობის შესახებ.

◆ **ავაზაკებთან ბრძოლა.** ზუგდიდიდან მიღებული ცნობით, სოფ. ყულისკარში ხანგრძლივი სროლის შემდეგ მილიციამ სატუსაღოდან გაქცეული ყაჩაღი მექი როგავა—შეიპყრეს კიდევ 3 პატიმართაგანი და ყულისკარის კომისრისა და მილიციონერის მკვლელები მეხია და კუჭავა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს, ოთხშაბათს, საღამოს 7 საათზე, სამართველოში გამგეობის სხდომაა. ლექციებს დღეს წაიკითხავენ საბურთალოში: 1) ექ. ტურიაშვილი—ჰიგიენა, 2) დ. ასათიანი—საფრანგეთის რევოლუცია.

◆ **თფილისის სახალხო გვარდიის** საყურადღებოთ. შაბათს, 3 აპრილს მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის ქუჩ. № 123) [illegible] ბათალ. და საინჟინრო გუნდის კულტურულ განმანათლებელ სექციასთან არსებულ დრამატიული წრის მიერ სახელოვანი ძალებით წარმოდგენილი იქნება პირველად თფილისის სცენაზე ალ. ყაზბეგის მოთხრობიდან სამ-მოქმედებიანი დრამა „ელიონარა" გადმოკეთებული კ. გვარამაძის მიერ. ბილეთები გაიყიდება კლუბის კასაში წარმოდგენის დღეს. რაიონების შტაბებს შეუძლიათ წინასწარ წაიღონ ბილეთები მთავარი შტაბის კულტურულ-განმანათლებელ სექციიდან ფასი სახალხოა.

◆ **მუშათა ცენტრალური კლუბი** (პლეხანოვის პრ. № 123) დღეს 31 მარტს, გაიმართება მეთორმეტე საღამო კლუბის წევრთათვის უფასოდ.

◆ **„ფილოსოფიის შესავალი".** პროფესორ შალვა ნუცუბიძის წიგნი „ფილოსოფიის შესავალი" ნაწ. 1-ლი შემეცნების პრობლემა იბეჭდება და გამოვა ამ დღეებში.

◆ **ჟურნალი „ცისარტყელა" № 4** გამოვა და შემდეგი შინაარსით: ს. აბაშელი „შემოდგომაზე", ი. გრიშაშვილი—სონეტები აშაშხანიდან, 1. „ბალდაბარი", ბ. ვარდოშვილი „კვიმატი დღე", იბოლი მეფე *.*, გ. რუხაძე „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე", გ. ქაჩიშვილი „მე და ქარი". ბაბილინა „დუდა", ს. რუმანიძე „ძმები", არ. რუხაძე „დამშვენარი ვარდი", ქ. გვრგესული „გზა ჯვარედინზე", იგ. გომართელი „წერილები ხელოვნებაზე", ალ. პაპავა „ფიქრები თეატრის კრიზისზე".

◆ **„გორის ფონდი".** დ. ქოჩულიძეში გორის ფონდისთვის შეგროვილ იქნა 4,330 მ. შემოსწირეს 500 მანეთი: [illegible] ქუჩიშვილმა, კლემენტი ლორთქიფანიძემ და [illegible] ჯაშმა. 400 მანეთი: [illegible] გოგიბერიძემ და [illegible]. 300 მანეთი: [illegible] და მ. კალანდაძემ. 250 მანეთი: [illegible] ხინიაძემ და [illegible]. 200 მ. [illegible]. 180 მანეთი [illegible] გოგოტიძემ. [illegible] 100 მანეთი.

◆ **ფარმაცევტთა მეორე ყრილობა.** ახლო მომავალში მოწვეული იქნება საქართველოს აფთიაქებში მომუშავეთა მეორე ყრილობა. ამისათვის გამგეობამ უკვე აირჩია კომისია, რომელსაც ევალება ამ საქმის ორგანიზაცია. ამ დღეებში კომისია გამოაქვეყნებს ყრილობის მოწვევის დღეს.

◆ **გასაყიდათ გამოვა** ამ დღეებში წ. კ. გ. საზოგადოების გამოცემანი: 1) „ოთარაანთ ქვრივი"—მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა, 2) „საყმაწვილო მოთხრობები" 1 წიგნი ვაჟა-ფშაველასი, 3) „როგორ ცხოვრობდნენ ძველად ადამიანები" კუდრიავცევის წიგნი, ის. კვიცარიძის თარგმანი. 4) ლექსები პაწია ბავშვთათვის შ. მღვიმელისა წიგნი 1.

◆ **სიღნაღის მაზრაში** ამ დღეებში გაძარცვეს მიწათმოქმედების სამინისტროს სიღნაღის მაზრის რწმუნებული ბარნაბა ქერდილიძე, რომელსაც წაართვეს 72,000 მანეთი.

◆ **კერძო რადიო სადგური.** იტალია-კავკასიის ბანკმა შეიმუშავა პროექტი, ამიერ-კავკასიაში რადიო ტელეგრაფის ექსპლოატაციისა და განვითარებისათვის დამოუკიდებელ საზოგადოების დაარსების შესახებ. ამ საზოგადოების კაპიტალი უნდა უდრიდეს 2,200,000 იტალიური ლირას. მთავრობამ უნდა შეიტანოს 800,000 ლირა. მთავარი სადგური უნდა მოთავსდეს ნავთლუღში. ბანკის გამგე სთხოვს შინ.

საქმეთა სამინისტროს აცნობოს მას თავისი შეხედულება ამ საქმეზე.

დაკარგული ბავშვი. კვირას 28 მარტს, დღის 2 საათზე თფილისში დაიკარგა 11 წლის ბავშვი,—ნესტორ სპირიდონის ძე ანდღულაძე. ტანთ აცვია ნაცრის ფერი კავკასიური შალის, და დაბალი ტანისაა, შავგრემანია. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, სთხოვენ აცნობონ კაპიტან ანდღულაძეს (ბურამის ქუჩა, № 8.)

კრებები.

— ოთხშაბათს, 31 მარტს, საღამოს ზუსტად 7 საათზე წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზიაში (გრიბოედოვის ქუჩა) დანიშნულია სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის საბჭოს მორიგი სხდომა.

პროვინციის ქრონიკა

გურიის სამაზრო ს.-დ. კომიტეტის სხდომა დანიშნულია ქალ. ოზურგეთში 3 აპრილს.

იშვილე, დედილო!

მწუხრმა თავისი ჩრდილებით დაბურა ნამტირალევი თვალები გაშიშვლებულ ხეებს, რომლებიც მოჩვენებასავით ცახცახებენ და დასტირიან თავის პირმშოთა გვამებს—მკვდარ ფოთლებს. ქარი მსუნაგ-მშიერი ნელ-ნელა დაძრწის, რომ მოასწროს თვალი მიხვეჭოს რასმეს და გაკლაპოს. მე თქვენ გიტყვით გაუჭირდება პოვნა. ოღონდ შეუხვიოს ქალაქის განაპირა უბნების ადმართს—მყის ეწვევა ღარიბს. გაჭირვებულს ნახავს უსახლკაროს და უპატრონოს.

აი ყრუ, ლაფიან ქუჩის ყურეს, სადაც ქალაქი ნათურასაც კი არა ანთებს—გაისმის კვნესა-წკმუტუნი. ეს ყმაწვილ ჩვრებში გამოხვეული დედა-შვილია. ყინვას მოკრუნჩხვია იგინი და აძაგძაგებს. სახე მთლად დალურჯებიათ, ხელები დაბზარებიათ.

— ცივა, ცივა!—კაკანებენ საცოდავად და ერთმანეთს ეკვრიან.

ეჰ, რა გათბობს, როცა მათ სახსრებშიაც გადაყინულია სისხლი...

ქუჩის ლამპარს მაინც არ გამოეცდუნა ქალაქის მთავარ უბნებიდან, ცდება ვინმე თავის ნივრით გამოჩენილიყო და ორივე ეგ ყრუში გამოიყვანა... აქ კი ბნელა... ბნელა... რომ გაიაროს კიდეც ვინმე,—ვერ შეამჩნევს მათ... მთვარე მაინც გამოჩენილიყო... მას მაინც გადმოეხედნა წყალობის თვალით..

— რა იქნა, დედა, მთვარე? აკი წეღან ანათებდა?.. სად მიიმალა? ხომ არავინ გააჯავრა და არ გაიბუტა?..

— მთვარე სავახშმოდ წავიდა, შვილო!..

— სავახშმოდ?—ბავშვს თვალები გაუბრწყინდა. შეხარბდა მთვარეს. რა ბედნიერი ყოფილა... ვახშამი ჰქონია.. ნეტავი რა ექნება ვახშმად?.. შემწვარი ქათამი.. წითლად დაბრაწული გოჭი... ყველა ის ნაირ-ნაირი საჭმელი, რომლებიც რუსთაველის ქუჩის მაღაზიების ფანჯრებიდან გამოიყურებოდნენ—იქ იქნება მიტანილი... რამდენჯერ უთქვამს გაკვირვებით, თუ ვისთვის აწყობენ მას, ამ მაღაზიებში ვისა აქვს მისი ყიდვის თავი, ეხლა კი მიხვდა... მთვარისთვის ყოფილა დამზადებული...

რა ლხინი იქნება ეხლა მთვარის სახლში. ყველა ვარსკვლავები მასთან იქნებიან მიწვეულნი...

ბავშვის ოცნებაში ცხოვლდება ფერადი და ბარაქიანი ვახშამი... ნერწყვი ადგება პირს...

ნეტავი ეხლა ფრინველად გადაიქცეს... შეირბენდა იგი მოსადილეთა ოთახში... ერთ გუზგუზებულ ბუხართან წამოწვებოდა... გათბებოდა და როცა გაღონიერდებოდა—შეიდგებოდა უკანა ფეხებზე და დაუწყებდა წკავ-წკავს პატრონებს... იგინიც გადმოუხდიდნენ თავის მოწყალებით და გადმოუგდებდნენ პურის ლუკმას, გოჭის ქონიან ხახრამუნებულ ძვლებს... რა ნეტარება იქნებოდა, ახ, რა ნეტარება... მარტო თვითონ კი არ დანაყრდებოდა, დედასაც წამოუღებდა... ასე და ამნაირად იოლს წავიდოდნენ... ამ ფიქრებით გაატარებდნენ გაჭირვებულ ცხოვრებას... არც გულს გაიტეხენ.. მაინცა და მაინც რა აქვთ სადარდელი... რა უყუჩა, რომ უბედონი არიან... განა ცოტაა მათი ყოფაში? ბევრია მათი მსგავსი ადამიანთა შორისაც და ბუნებაშიაც...

აგერ ცაზე ერთი ვარსკვლავი ობლად ციმციმებს... ყველა ვარსკვლავი მთვარესთან ვახშმად... ის კი ტყუა არის და გარეთ დარჩენილა... ეტყობა შიან, ისე რომ გაცრეცილა... სცივა კიდეც ბეჩავს... ძალზე აკანკალებს... ჩვენსავით არც მას ჰქონია თბილი ტანისამოსი...

დედილო, დედი... ეს ვარსკვლავი ჩვენზე უბედურია... მე დედა მაინცა მყავს, მაგას ისიც არ გააჩნია... მთლად ობოლია.. ვინ უნდა დაუყვავოს, ვინ უშრალოს მოსიყვარულე კოცნით თვალები...

მოდი იშვილე, დედილო, ის ობოლი ვარსკვლავი, მადლია... თუ არა ჩვენ, სხვა არავინ შეიტკბობს მისთვის გულს... ერთად გავატარებთ ტკბილ ცხოვრებას... ხომ, დედილო, იშვილებ?—ეკითხება პატარა დედას, მაგრამ პასუხი არ ისმოდა...

— დედი, დედილო, ხომ არ დაგეძინა... ნუ, ნუ, გენაცვალე, ნუ დაიძინებ... გაგცივდება, არ შეიძლება სიცივეში ძილი... დედილო, შენ არა სთქვი, რომ მამაშენი ასეთს სიცივეში გაიყინაო? გაიღვიძე დედილოჯან... დე... ვაიმე, ვაიმე... ეს რა დამემართა...—ქვითინით გაანძრია ბავშმა გაშეშებული დედა და იგი მოჭრილ ხესავით გადაიქცა... გაყინულიყო... სული ამოჰხდომოდა...

ღამე რომ გატყდა მთვარის წვეულები ვარსკვლავები ჟრჟოლით გადმოიშალნენ ცაზე... მთვარეც რაცრაცით გამოემართა... ყველა შეზარხოშებულიყო...

— ტაში, ტაში...—გაისმა მთის შლეგიანი ნიავის შეძახილი და ვარსკვლავებს ლეკური გააჩაღებინა...

დ. თურდოსპირელი.

ა. ჩხენკელი კახეთში

დეპუტატი ა. ჩხენკელი, რომელიც რამოდენიმე დღით გაწვეული იყო კახეთში, დაბრუნდა 29 მარტს საღამოს. მან გააკეთა სიღნაღში და თელავში მრავალ რიცხოვან აუდიტორიის წინაშე ვრცელი მოხსენება თანამედროვე მომენტზე და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე. მსმენელთა შორის ბევრი იყო სოფლებიდან, რომელნიც სპეციალურად მოხსენების მოსასმენად ჩამოსულიყვნენ. გზად სიღნაღიდან თელავამდე, სოფ. ანაგაში, სადაც დიდი საკვირაო ბაზრობა იყო, ხალხმა მოისურვა დეპ. ჩხენკელის ხილვა; გაიმართა გრანდიოზული მიტინგი, რომელზედაც ილაპარაკა დეპუტატმა. სამივე ადგილას დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად მიიღო შესაფერი რეზოლიუციები, რომელიც ამ დღეებში დაისტამბება.

უცხოეთი

რუსეთი.

„მოხალისეთა“ უკანასკნელი ბრძოლა ნოვოროსიისკში. ნოვოროსიისკის რაიონში ბრძოლას აწარმოებენ ზოგიერთი გენერლები, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენიათ ცოტათ თუ ბევრათ მოწყობილი ჯარის ნაწილები. ასეთი გენერლებია მაგ. პავლოვი, ულაგაი და სხვ. დონის ჯარის ნაწილები ყირიმისაკენ მიჰყავთ გენ. სლაშჩევის რაზმის გასაძლიერებლად. ყუბანისა და თერგის ჯარები ატამან გენ. ბუკრეტოვის ხელმძღვანელობით შავი ზღვის ნაპირზე აწარმოებენ ბრძოლას.

კრასნოვოდსკში. კრასნოვოდსკიდან ბოლშევიკების გამოსვლის შემდეგ, იქ მდგომარეობა გამწვავებულია. არ არის პური და წყალი. ამ ნიადაგზე ფართო შეტაკებები მოხდა ბოლშევიკების მთავრობასა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

საფრანგეთი.

ოსმალეთის საკითხის გარშემო უმაღლესი საბჭოს პოლიტიკურ სექციამ 23 მარტს განიხილა მიჯნურობა ოსმალეთის სახელმწიფოს უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ. განხილული იქნება საკითხი იმ ოლქების მცხოვრებთა ქვეშევრდომობის შესახებ, რომლებიც გამოყოფილი იქნებიან ოსმალეთის სახელმწიფოდან. ახლო მომავალში ვაშინგტონიდან მოელიან ვილსონის ახალ ნოტას, რომელშიაც იგი მოითხოვს, რათა თურქები საბოლოოთ იქნენ განდევნილი კონსტანტინოპოლიდან.

ინგლისი

ინგლისის მუშათა პარტია და სომხეთი. ინგლისის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა ვრცელი პროტესტი იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მოკავშირეებმა გამოიჩინეს სომხეთის მიმართ. საზავო კონფერენციის მოქმედებას კიცხავენ, რადგანაც მან დროებით ზავის ჩამოგდების შემდეგაც სომხეთის ოლქები ოსმალეთის ხელში დასტოვა. მუშათა პარტიის ლიდერებს ასე ესმით სომხეთის საკითხის გადაწყვეტა: ოსმალეთის სომხეთი სრულიად უნდა განთავისუფლდეს ოსმალთა ბატონობისაგან. მთელი ეს მხარე რამოდენიმე წლის განმავლობაში და წინასწარ შემუშავებული პირობების თანახმად, ერთ ერთი დიდ სახელმწიფოს კონტროლ ქვეშ უნდა იმყოფებოდეს, რომელსაც ექნება მანდატი. მაგრამ რადგანაც შესაძლებელია ამერიკამ მონაწილეობა არ მიიღოს, მაშინ შეიძლება მანდატების გაყოფა. თუ სამხრეთ დასავლეთის ოლქს (კილიკიის, დიარბეკირის, ხარპუტის) მანდატს საფრანგეთს მისცემენ, საჭიროა წინასწარ შემუშავებულ იქნას პირობები და რამდენიმე წლის შემდეგ ამ ოლქის მცხოვრებთ მიეცეთ უფლება პლებისციტის საშუალებით განაცხადონ, სურთ თუ არა საკუთარ სახელმწიფოს დაარსება, თუ სომხეთთან უნდათ შეერთება. დანარჩენი ოლქები ოსმალეთის სომხეთის დაუყოვნებლივ უნდა შეუერთონ ამიერ-კავ. რესპუბლიკას. სომ. რესპუბლიკამ დახმარება უნდა მიიღოს მოკავშირეებისაგან. ამასთანავე სომხეთი არ უნდა აიძულონ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მონაწილეობა მიიღოს. დახმარება უნდა აღმოუჩინონ სომხეთის მთავრობას იმ დრომდე, სანამ ის თავის რესპუბლიკის ფარგლებში დაიცავს რელიგიურ და ნაციონალურ თანასწორობას. ქრისტიანები მუსულმანები, სომხები, ბერძნები, ქურთები, თურქები ერთ და იგივე უფლებებით უნდა სარგებლობდნენ. პარტია მოითხოვს, რომ სომხეთის საკითხის გადაწყვეტას არ დაუკავშიროს ინგლისმა ის მოსაზრებები, რომლებსაც ინდოეთის პოლიტიკა მოითხოვს.

ოსმალეთი.

ახალი კაბინეტი. სალიმ ფაშას კაბინეტი გადადგა. ახალი კაბინეტის შედგენა სულთანმა დამად ფერიდ-ფაშას დაავალა.

ახმედ რიზა-ბეი გადადგა. ოსმალეთის სენატორი ახმედ რიზა-ბეი, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ პარიზში გაემგზავრა განსაკუთრებულ დავალებების შესასრულებლად, — ტელეგრაფით ატყობინებს სენატს, რომ იგი თავს ანებებს თავის თანამდებობას.

ადერბეიჯანი.

ადერბეიჯანის დელეგაცია ლონდონში. როგორც გაზეთი „ტაიმსი“ იტყობინება, ლონდონში ჩასულა ადერბეიჯანის დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარე ალი-მარდან ბეგ თოფჩიბაშევის მეთაურობით. დელეგაციის მიზანია იშუამდგომლოს ინგლისის მთავრობის წინაშე, რათა ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა de jure იქნას აღიარებული. დელეგაციის მიზანს შეადგენს აგრეთვე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფედერაციის საკითხის განხილვა.

გაზეთების შეტანა სპარსეთში. ინგლისურ შტაბის კაპიტანი კრიჩლი აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ თანახმად ბრიტანეთის ჯარების უფროსის განკარგულებისა სპარსეთში აკრძალულია გაზეთების შეტანა ადერბეიჯანიდან გარდა გაზ. „გოლოს როსსიის“ და „ადერბეიჯან“-ისა. დანარჩენი გაზეთები ჩამორთმეული იქნება და ის პირები ვინც აკრძალულ გაზეთებს ავრცელებენ, გადაეცემიან სამხედრო საველე სასამართლოს. („ადერბეიჯ.“)

ინდოეთი.

გაფიცვები. გაზ. „ტაიმსის“ კორესპონდენტი იტყობინება, რომ შოლაპურში მუშების გაფიცვას შედეგათ მოყვა მუშებისა და ჯარისკაცების შეტაკება. შოლაპური ბომბეის მოსაზღვრე რაიონია, სადაც 16 ათასი მუშა ირიცხება. შოლაპურის გაფიცვის მიზეზი იყო ბომბეის გაფიცულ მუშებისადმი თანაგრძნობა. გაფიცულებს მხარს უჭერდნენ უკიდურესი პარტიები. ნაწილი მუშების დაუბრუნდნენ ქარხნებს და დაიწყეს მუშაობა. რომ შეეშალათ ხელი შტრეიკბრეხერებისათვის, ქარხნებთან თავი მოიყარა 8 ათასამდე მუშამ. ჯარმა ვერ გაჰფანტა მუშები და იძულებული შეიქნა იარაღისთვის მიემართა. ქარხნის მუშების გარდა მომზადებაში გაიფიცნენ თერძები, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის მომატებას. გამწვავებული სულიერი განწყობილებაა ტრამვაის მუშებშიაც. ისინიც მოითხოვენ ტარიფის გადიდებას. მიუხედავად დიდი მოსავლისა სურსათის სიძვირე და ესაა მიზეზი მუშათა აღელვებისა.

დახმარება რუს ლტოლვილებს

ხუთშაბათს, 1 აპრილს თფილისში მოხდება რუს ლტოლვილთა სასარგებლოთ ყულაბებით ფულის შეგროვება.

საქართველოს სამხედრო გზით მომავალ რუს ლტოლვილთა აუტანელი მდგომარეობა აუწერელია.

ქ. დ. ღენის თავმჯდომარეობით შემდგარი დროებითი კომიტეტი, იჩქარის რა სასწრაფო დახმარება აღმოუჩინოს მათ, მიმართავს ყველას მხურვალე თხოვნით დახმარება აღმოუჩინონ ლტოლვილებს.

შემოწირულებებისა და ხარჯების შესახებ დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნებული იქნება თავის დროზე.

29 მარტს არჩეულ იქნა სარევიზიო კომისია თფილისის ქალაქის თავის ბ. ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით.

ქუთაისი

გასულ კვირას ქუთაისში გავრცელებულ ბოლშევიკური ფურცლები, რომელზედაც ხელი უწერია ქუთაისის კომიტეტს. იგივე ფურცლები გავრცელებულ ლეჩხუმის ორ სოფელში, სადაც ორი გამავრცელებელი დაატუსაღეს.

— 26 მარტს ღამით მილიციამ დაატუსაღა რამდენიმე ბოლშევიკი და მოახდინა ჩხრეკა სხვადასხვა ადგილას.

— 26 მარტს ქუთაისში ფოთიდან ჩამოიყვანეს პირველი ეშელონი ყუბანიდან გამოქცეულ ლტოლვილებისა. მათში უმეტესობა რადის წევრები არიან.

— თვითმართველობის სანიტარიო განყოფილების ოფიციალური ცნობით ამ უკანასკნელ დროს შავი ყვავილის ავადმყოფობამ ქუთაისში თავი იჩინა. ამ ჟამად დღეში ავად გახდომის მხოლოდ ერთი-ორი შემთხვევაა.

— მოკლე ხანში ქუთაისის რაიონის კოოპერატივთა კავშირი მოაწყობს ქუთაისში კოოპერატიულ კურსებს. კურსების მიზანი იქნება შექმნას განსაზღვრული კადრი კოოპერაციის თეორიასთან და პრაქტიკასთან გაცნობილ პირებისა. კურს დამთავრებულები ჩაირიცხებიან კავშირის თანამშრომელთა შტატში და დაგზავნილი იქნებიან პროვინციაში სამუშაოდ.

— ზუგდიდის ციხიდან გაქცეულ ყაჩაღთა შეპყრობა გრძელდება. ჯერჯერობით დაატუსაღეს რამდენიმე ცნობილი ყაჩაღი, ზოგი თითონ დაბრუნდა. ციხის უფროსი დატუსაღებულია, ხოლო მცველები ყველანი დაითხოვეს და ახლები დააყენეს.

— ზესტაფონის ციხიდან გაიქცა ორი ყაჩაღი ტუსაღი.

— 10 მარტს ქუთაისის სამაზრო ერობის ბინაზე შესდგა ხონი-ქუთაისის რკინის გზის საზოგადოების საზოგადო კრება. დადგენილი იქნა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას ზომები საზოგადოების ფინანსიური მხარის მოსაგვარებლად. ნაცვლად ძველი გამგეობისა არჩეულ იქნა ახალი გამგეობა, რომელშიაც შედიან: ქ. ა. სულაქველიძე, მ. გ. გაგაშელი და ალ. რ. ჯაფარიძე. ახლად არჩეულ გამგეობას რამოდენიმე სხდომები ქონდა, რომლებზედაც მიღებული იქნა დადგენილებანი ამ საქმის წინ წასაწევად. ამ ჟამად მუშაობა აჩქარებული ტემპით სწარმოებს. მიღებულია ზომები ფინანსიური მხარის უზრუნველსაყოფად.

— მთავრობის განკარგულებით ქორეთის ტყის სანერგე ქუთაისის სამაზრო ერობის ხელში გადავიდა. გამგეობამ დაადგინა თავისი საშუალებით წელს დაამუშაოს ეს სანერგე. მუშაობას უკვე შეუდგნენ, მომუშავეთა სათანადო შტატი უკვე დამტკიცებულია. ყველა ის ხელსაწყოები და იარაღები, რომლებიც ამ სანერგეს ეკუთვნოდა და სხვადასხვა დაწესებულებებში წაიღეს, გამოთხოვილია უკან.

ბათუმის გარშემო

ხაშური. 19 მარტს ქალაქს არაჩვეულებრივი ელფერი მიეცა. 11 ს. ყველა მხრიდან აწყდება ხალხი ხაშურის სოც. დემ. ორგ. ბინისაკენ. ჩქარა გამოჩნდა მუსიკა, რომელსაც მოჰყვება უკან სამუშაოზე თავ-დანებებული მუშათა ჯარი წითელი დროშით.

უკვე ზღვა ხალხმა მოიყარა თავი, ყველა თავ-შეუკავებლად უკმაყოფილებას გამოსთქვამს ბათუმის საკითხის ასე უსამართლოდ გადაჭრის გამო. ამხ. მ. მარიამიძე აცნობებს მათ დემონსტრაციის წესრიგს.

ამის შემდეგ დემონსტრაცია მიემართება მწყობრად ვაგზლის მოედნისაკენ. წინ მიდიან, ს. დ. ორგ. კომიტეტისა და პროფ. კავშირის წევრები დროშებით; შემდეგ ყველა დარგის მუშები, შემდეგ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრები საკუთარის დროშით, ს.-ფედ. ორგანიზაცია და მოქალაქენი...

ვაგზლის მოედანთან ხალხი შემოერტყა მაღლად ამართულ ტრიბუნას და უცდიან სიტყვას, სიტყვას, რომელიც მათ დააკმაყოფილებს და ამცნობს ასეთ არ გაგონილ უსამართლობის ნამდვილ მიზეზებს.

მიტინგს თავმჯდომარე მოკლე მაგრამ შინაარსიანი სიტყვით აცნობს მიტინგს 19 მარტის მნიშვნელობას. ხალხი ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: ან. ბიბილოვმა, ი. თელიძემ, ნ. სიხარულიძემ, ს. ბაბილიძემ, ბ. კიკნაძემ, გ. ჭამბურიანმა, ა. ხუნდაძემ, მარიამ ბერ-ხელიძემ და სხვ. ყველანი აღნიშნავდნენ, რომ საქართველოს უბათუმოდ არ შეუძლია არსებობა, რომ სამუსლიმანო საქართველო დედა საქართველოს განუყრელი ნაწილია და სხვ. ყველანი პროტესტს აცხადებდნენ ბათუმის დროებით პორტო ფრანკოთ გამოცხადების შესახებ. ხალხი სიტყვებს ოვაციებით და მხურვალე ტაშით ხვდებოდა. შემდეგ მიტინგმა სათანადო რეზოლიუციები გაუგზავნა დამფ. კრებას, ოლ. უორდროპს, საფრანგეთის და იტალიის მისიების თავმჯდომარეს და ადერბეიჯანის წარმომადგენელს.

ამის შემდეგ დემონსტრაცია მიემართება ძმათა სასაფლაოზე, იქ სიტყვას ამბობენ ამხ. ნ. სიხარულიძე და ა. ბიბილოვი; აქედან რკინის გზის მიმართულებით მიდიან ს. დ. ორგანიზაციის ბინისაკენ, სადაც უკანასკნელ სიტყვას ამბობს ამხ. ი. თელიძე, რის შემდეგაც ხალხი იშლება. ბ. უ.

— —

ცაგერი. 19 მარტს ქვემო სვანეთის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი გამოსთქვამს თავის უსაზღვრო გულისწყრომას იმ ისტორიულ უსამართლობის გამო, რომელიც მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ ბათუმის საკითხის გადაჭრაში ჩაიდინა. ანტანტამ ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას ანგარიში გაუწია—საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო, მაგრამ იგივე ანტანტა ბათუმის პორტო-ფრანკოთ გამოცხადებით სთელავს საქართველოს უფლებებს, ძირს უთხრის ჩვენს პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას. საქართველოს ხალხი, რომელმაც ბრძოლით მოიპოვა თავისი უფლება, ვერ შეურიგდება ამ უსამართლობას. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია უსმინოს ერის ხმას და ყოველი გზით დაიცვას რესპუბლიკის ინტერესები. მთელი ქართველი ერი, როგორც ყოველთვის ბათომისთვის ბრძოლაში მთავრობასთან არის.

გრიგოლ ოხიანი, გრიგოლ კვესტიანი.

— —

ცაგერი. 19 მარტი. დ. ლაილაშის მოქალაქეთა მრავალრიცხოვანი მიტინგი აღშფოთებულია ბათომის დღევანდელი მდგომარეობით. თუ მიმდინარე წლის 13 და 14 იანვარს დიდ სიხარულს განიცდიდა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობით, ის დღეს მგლოვიარეა ბათომის პორტო-ფრანკოთ გამოცხადებით, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს დამოუკიდებლობას. ლეჩხუმი არ შეურიგდება ამ უსამართლობას. საქართველოს მთავრობა და ერის ნებისყოფის უზენაესი გამომხატველი დამფუძნებელი კრება დაიცავენ რესპუბლიკის ინტერესებს. მთელი ერი, როგორც აქამდე, მომავალშიაც მთავრობასთან იქნება.

ექიმი წულუკიძე

არტაანი.

ერთი თვეა, რაც არტაანში და მის რაიონებში ჩვენი ჯარის ნაწილები შევიდა. ჯარის რამოდენიმე ნაწილი არის აგრეთვე არდაგანსა და მის რაიონებში.

აღსანიშნავია ის, თუ როგორი ხალისით ეგებებიან აქაური მცხოვრებლები ჩვენს ჯარს: ყველგან აღფრთოვანებული და დიდი იმედებით ადგილობრივნი გვეგებებიან, ყველა მოელის დემოკრატიულ რესპუბლიკის მფარველობას, ყველას სურს მის დროშის ქვეშ დადგომა. ყველას გული ჩვენკენ აქვს და დიდი სიმპატიით გვიცქერიან.

ჩვენს ჯარს თავი ჩვეულებრივად დინჯად უჭირავს.

ადგილობრივი მცხოვრებნი ეკონომიურად, პოლიტიკურად და სხვ. ძლიერ ჩამორჩენილნი არიან.

ჩვენს შემოსვლამდე ნიკოლაის ფული ორი წილად და ხან მეტად ფასობდა, ჩვენი შემოსვლის შემდეგ ამ ფულის ფასი ისე დაეცა, რომ თუ კარგი, ახალი არ არის, არც ხუთ მანეთად გადის თუმნიანი.

საქართველოს სახარგებლოდ ყველა—დიდი და პატარა ლაპარაკობს და მოქმედობს.

ძლიერ საჭიროებას წარმოადგენს მცხოვრებთათვის ტანსაცმელ ფეხსაცმელი.

განათლების მხრითაც ძლიერ ჩამორჩენილნი არიან, მეტადრე სოფლებში არც კი იციან, თუ რამ შექმნა ასეთი მომენტი. არც ერთხელ არ ეთქვამთ მათთვის რა მოხდა რუსეთში სამი წლის წინათ, ზოგიერთ ადგილას ყველა ამბების ახსნის შემდეგ, დიდი სიხარული გამოთქვეს. ყველას მოსწონს ჩვენი როგორც მთავრობის შემადგენლობა, ისე არჩევნები, სახალხო თვითმართველობები და სხვ.

სურსათის მხრივ მაინცა და მაინც ისეთი კრიზისი არ არის, როგორც ზოგიერთ ადგილას ჩვენში. სასამართლოები და სხვა დაწესებულებები ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო დონეზე აყვანილი. ფოსტა-ტელეგრაფიც არ იყო, მაგრამ დღეს უკვე არის შეერთებული ტელეგრაფით ახალციხესთან არტაანი, მალე მოეწყობა მოძრავი ფოსტაც, რის საშუალებითაც შეიძლება გაზეთების და სხვადასხვა ცნობების მიღება ამ მხარეში.

საჭიროა მოწყობილ იქნას ის ნივთები, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს აქაური მცხოვრებთათვის. საჭიროა აგრეთვე გაიგზავნონ მცოდნე პირები. ყოველ სოფელში უნდა მოეწყოს კრებები, ლექციები, და თან, მოეწყოს რიგიანად სასამართლო და სხვა დაწესებულებები.

ახალი მუშა.

არტაანი, მარტის 17.

ქალაქის საბჭო

29 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ქალაქის ლომბარდისათვის 2 მილიონ მანეთის სესხის აღების შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი შოთაძე. ის აღნიშნავს ლომბარდის მნიშვნელობას ქალაქისათვის და მისი მდგომარეობის ფულის უქონლობის გამო და მოითხოვს მიეცეს ლომბარდს სესხად 2 მილიონი მანეთი.

ხმ. აფხაზი აღნიშნავს რა ლომბარდის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას და მის აუცილებლობას მცხოვრებთა ღარიბ ნაწილისათვის, მოითხოვს მიეცეს მას 4 მილიონი მანეთი.

საბჭომ მიიღო გამგეობის მოხსენება და დაადგინა მიეცეს ლომბარდს სესხად 2 მილიონი მანეთი.

ამის შემდეგ საბჭომ დაადგინა: ავლაბარ-მარტვილ ნავთლუღ-ის ქართველთა განმანათლებელ საზოგადოებას მიეცეს ერთდროული დახმარებათ 5000 მანეთი.

გათავისუფლებულ იქნას ჯამაგირებით ქალაქის მე 2 საავადმყოფოს „დეზინფექტორულ“ და ვენერიულ განყოფილების მოსამსახურენი.

გადაიდოს ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლისათვის 5000 მანეთი.

გადაიდოს ქართულ სამუსიკო საზოგადოების დასახმარებლათ 50,000 მან.

ამის შემდეგ საბჭომ განიხილა და მიიღო გამგეობის მოხსენება რამდენიმე წვრილმან საკითხების შესახებ.

დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

ანგარიში, ს. ს. დ. მ. პ. თფ. ორგ. მეოთხე რაიონული კოლექტივის, ვერის გამრთობი ს—ბის გამგეობის და სახალხო გვარდიის მეოთხე რაიონის შტაბის, 4 იანვარს, 1920 წ. გურიის მაზრის მიწის ძვრისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გამართულ საღამოსი.

შემოსავალი: ბილეთების გაყიდვიდან —4500 მ., პროგრამებით—120 მ., შემოწირულება 327 მ., ბუფეტიდან 12819 მ., ლოტერეიდან 425 მ.. სულ 18 191 მ. 90 კ. გასავალი ბუფეტის მოწყობაში 9390 მ., წარმოდგენის [illegible] 810 მ., ბეჭდვა—500 მ., წვრილმანი ხარჯები—165 მ. სულ 10 365 მ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 7 826 მ. 90 კ, რომელიც გადაეცა დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტს.

საღამოს მომწყობი კომისია.

— —

ამაღლება (გურია). თემის გამგეობამ მოწინავე პირების დახმარებით მოაწყო მასიური კრებები და ახსნა განმარტების შემდეგ არჩეულ იქნა სახალხო კომისიები. მათ დაევალა შემოწირულების მოგროვება.

9 მარტს, შესდგა კრება სახალხო კომისიებისა და არჩეულ იქნა „გურიის ფონდის“ სათემო კომიტეტი შემდეგ პირებისაგან, გ. ცინცაძე, სერ. დოლიძე, ნ. გ. დოლიძე, ქ. კობიძე, ფ. ყაზბეგიშვილი და ქ. დოლიძე. კომიტეტმა ჩაიბარა კომისიების მიერ შეგროვილი: სოფ. ხამგაში 5900 მან., ამაღლებაში 1241 მანეთი, ქვემო ამაღლებაში 2340 მან., შუა ამაღლებაში 2995 მან., ზემო ამაღლებაში 2542 მან. სულ 17,018 მანეთი, რაც წარმოადგინა ოზურგეთის სამ. ერობ. არსებულ გურიის ფონდის მთავარ კომიტეტს ამა წლის 13 მარტს.

„გურიის ფონდის“ სათემო კომიტეტის თავმჯდომარე კოწ. დოლიძე.

— —

ფოთი. შესდგა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტი. კომიტეტის მოწოდებას საზოგადოება დიდი თანაგრძნობით შეხვდა. ყოველი დარგი და ჯგუფი იღებს თავის წვლილს დაზარალებულთა სასარგებლოთ. თვითმართველობამ გადასდო ჯერ ჯერობით 50.000 მან., ადგილობრივმა კოოპერატივმა „მეურნეობამ“ გაიღო 75.000 მან. და აგრეთვე დაადგინა, ყოველ გასაყიდ საქონელზე თავის განკარგულებაში დაადოს ორი პროცენტი დაზარალებულთა სასარგებლოდ. ფოთის პროფესიონალური კავშირების საბჭომ დაადგინა: თვითეულმა მუშა-მოსამსახურემ გადასდოს „გურიის ფონდის“ სასარგებლოდ ერთი დღის ჯამაგირი (სამუშაო ქირა).

ფოთის ვაჭარ-მრეწველთა კავშირმა მიიღო თავის თავზე 75 კაცის რჩენა, თუ ფოთში ჩამოვლენ, თუ არა და გაიღოს ამის მაგიერ შესაფერისი თანხა. ყველა გასართობებზე დადებულია „გურიის ფონდისათვის“ განსაზღვრული პროცენტი. ფოთის გიმნაზიელებმა მოაგროვეს ამავე მიზნით 15.000 მან.

ქალაქის თვითმართველობამ გაუგზავნა გორელებს ორი ვაგონი შეშა, განზრახულია აგრეთვე სადგომების მოწყობა ფონდის გასაძლიერებლად.

— —

სოფ. ალანა (გურია). ალანის თემის მასწავლებელთა კავშირმა ერთხმად დაადგინა სამი დღის ჯამაგირი რაც უდრის დაახლოვებით 2.700 მანეთს გადაიდოს გურიის მაზრის დაზარალებულთა სასარგებლოთ. ხსენებული თანხა გადაიგზავნება სადაც ჯერ არს ჯამაგირების მიღებისთანავე. დაარსდა დამხმარე კომიტეტი, რომელიც უკვე შეუდგა თავის საქმეს. მოხდა კუთხის კრებები, სადაც ხალხს გაეცნო გურიის მაზრის მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობა. ყველგან ერთხმად მიიღეს დაეხმარონ გაჭირვებაში მყოფ მოძმეებს, რითაც კი შეეძლებათ. გ. ხახიშვილი.

პროფესიონალურ კავშირებში

აფთიაქებში მომუშავეთა პროფ. კავშირში.

18 მარტის სხდომაზე აფთიაქებში მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ დაადგინა:

— ადგილობრივ შემადგენლობის საბჭოს

ეროვნული

სეკრეტარიატის წინაშე, რათა საბჭომ ხელმეორედ განიხილოს საკითხი შრომის ბირჟის შესახებ; ვინაიდან არ არის სასურველი, რომ მისი გამგებლობა პარიტეტულ კომიტეტს გადაეცეს.

— მიღებულ იქნას ყოველივე ზომები, რათა შრომის ბირჟა დარჩეს კავშირთან, ხოლო თუ ეს შესაძლებელი არ იქნება, მაშინ კავშირის წარმომადგენლებმა მოითხოვონ საბჭოს სხდომაზე, რათა შრომის ბირჟა გადმოტანილ იქნას პროფ. კავშ. საბჭოს განკარგულებაში. ამის შემდეგ გამგეობამ განიხილა საკითხი სააფთიაქო საქმის მუნიციპალიზაციის შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამგეობამ შემდეგი წინადადებით მიმართა ქალაქის კავშირის მედიკო სანიტარულ განყოფილებასთან არსებულ სააფთიაქო საქმის მუნიციპალიზაციის საკითხის გამომარკვევ კომისიას: „პროფ. კავშირის გამგეობას აქვს პატივი აუწყოს კომისიას, რომ ამა წლის 18 მარტის თავის სხდომაზე გამგეობამ იქონია რა მსჯელობა სააფთიაქო საქმის მუნიციპალიზაციის საკითხის შესახებ და საქმის ყოველ მხრივ შესწავლისა და საკითხის ყოველნაირად გაშუქების შემდეგ, მიიღო შემდეგ დასკვნამდე: 1) სააფთიაქო საქმის შესაფერ პირობებში ჩასაყენებლად და მისი მშრომელი ხალხის ინტერესების მიხედვით მოსაწყობად საჭიროა შეიქნეს განსაკუთრებული დაწესებულება, რომლის სათავეშიც უნდა იდგეს უმაღლეს განათლება მიღებული ფარმაცევტი და რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს სააფთიაქო საქმე მთელს რესპუბლიკაში. 2) სააფთიაქო საქმის მშრომელი ხალხის ინტერესებთან შეფარდებით მოსაწყობათ საჭიროა, რომ მოხდეს სააფთიაქო საქმის სრული ნაციონალიზაცია, ხოლო თუ რაიმე პირობების გამო ნაციონალიზაცია დღეს მოუხერხებელი არის და კომისიას დავალებული აქვს მხოლოდ სააფთიაქო საქმის მუნიციპალიზაციის საკითხის გამორკვევა, პროფესიონალური კავშირის გამგეობას საჭიროდ მიაჩნია მიიღოს ამ კომისიის მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა, რათა დაეხმაროს კომისიას იმ პროექტის შედგენაში, რომლის ძალითაც უნდა მოხდეს რესპუბლიკაში სააფთიაქო საქმის სრული მუნიციპალიზაცია. სააფთიაქო საქმის სრული მუნიციპალიზაციის მოსახდენათ გამგეობას საჭიროდ მიაჩნია: ა) ერთი სახელმწიფო სააფთიაქო საწყობის დაარსება, რომლიდანაც უნდა ისაზრდოვოს მთელი რესპუბლიკის სამუნიციპალიტეტო აფთიაქებმა. ბ) ამ სახელმწიფო სააფთიაქო საწყობის დაარსებისთანავე უნდა მოხდეს სრული რეკვიზიცია სააფთიაქო საქონლისა ყველა კერძო სააფთიაქო საწყობებში და ეს საქონელი უნდა გადავიდეს ამ სახელმწიფო სააფთიაქო საწყობის განკარგულებაში და შემდეგ გ) უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტების ხელში ყველა აფთიაქების გადასვლა იმ პირობით, რომ თუ ჯერ ჯერობით მუნიციპალიტეტები ვერ მოახერხებენ აფთიაქებიდან წამლების უფასოდ გაშვებას, ყოველნაირი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა მცხოვრებლებს შეეძლოს წამლების შეღავათიან ფასებში მიღება.

გამგეობას ღრმად სწამს, რომ მხოლოდ ამ ნაირად მომხდარი მუნიციპალიზაცია აიყვანს სააფთიაქო საქმეს შესაფერ სიმაღლემდე და დაიცავს მას მშრომელი ხალხის ინტერესებს.

გამგეობა დარწმუნებულია, რომ, თუ შესრულებული არ იქნა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირობები, სააფთიაქო საქმე ოდნავადაც ვერ წაიწევს წინ და სხვანაირად მომხდარი მუნიციპალიზაცია ოდნავადაც ვერ გააუმჯობესებს არსებულ არა სასურველ მდგომარეობას სააფთიაქო საქმეში. ამისთვის, თუ ეს პირობები შესრულებულ არ იქნა, გამგეობა ვერ იღებს თავის თავზე სხვანაირად დაწყებულ საქმის პასუხისმგებლობას და კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს მანამ, სანამ ახლო მომავალში არ შეიქმნება მოსამსახურე ფარმაცევტთა ყრილობა, რომლის მოსაწვევადაც საორგანიზაციო მუშაობა დაწყებულია და რომლის გადაწყვეტილებაც პროფ. კავშ. გამგეობისათვის მოქმედების ქვა კუთხედათ გახდება". აქვე დადგენილ იქნა: გამომუშავებულ იქნას გამგეობის წარმომადგენელთათვის დირექტივები სააფთიაქო საქმის მუნიციპალიზაციის შესახებ და დაევალოთ მათ დაიცვან კომისიაში სრული მუნიციპალიზაცია. თუ კომისია არ მიიღებს სახელმძღვანელოდ კავშირის დირექტივებს, კავშირის წარმომადგენლები უკანვე იქნენ გამოწვეული.

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

ახალციხე. 23 მარტს ახალციხე-ახალქალაქის სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბთან არსებულ კულტურულ განმანათლებელ კომისიის ინიციატივით თეატრის დარბაზში შესდგა ჯარისა და გვარდიის ნაწილების შეერთებული კრება. თეატრის შენობა გაჭედილი იყო მსმენელებით.

კრებას ხსნის ხსენებულ კომისიის სახელით კომისიის თავმჯდომარე გ. გ-ნიძე. მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელ კრების წევრი სალუქვაძე, მომხსენებელი ვრცლად ეხება საერთაშორისო მდგომარეობას, რუსეთის რევოლუციას, ბოლშევიკების როლს. ბოლშევიკებს იმიტომ გაუყვა რუსეთის ხალხი, რომ უკანასკნელს დაჰპირდენ ყოველივე ბედნიერებას. მაგრამ დაპირება უმთავრეს ნაწილათ დაპირებათ დარჩა. თუ ლენინი ექვსი საათის სამუშაო დღეს პირდებოდა მუშებს—დღეს 14 საათზე მეტს აშუშავებენ და სხვა. ბოლშევიკებმა დაანგრიეს ფაბრიკები, რკინის გზები, რუსეთის ხალხი, რომელიც უწინ სხვა სახელმწიფოებს კვებავდა—დღეს შიმშილით კვდება... შემდეგ მომხსენებელი შეეხო ამიერ-კავკასიის გამოყოფას. სეიმის მუშაობას და იმას, თუ რომელმა პარტიამ რა როლი ითამაშა სამშობლოს დაცვის საქმეში ოსმალეთის შემოსევის დროს... შეეხო აგრეთვე საქართველოს დამოუკიდებელ, ნეიტრალურ რესპუბლიკათ გამოცხადებას და ჩვენი მთავრობის მიზანშეწონილ პოლიტიკას, რომელმაც დღემდე შეძლებით ჩვენი მეზობელ რესპუბლიკებთან გაცილებით უკეთესათ დაიცვა თავისი ხალხის ინტერესები. დასასრულ გაეცნო კრებას გვარდიის წარმოშობა და მისი როლი თავისუფლებისა და სამშობლოს დაცვის საქმეში. გაეცნო ის, რომ გვარდიამ ხელი შეუწყო ახალგაზრდა ჯარის მოწყობას, რომლებიც დღეს ერთად, ძმურათ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გმირულათ იცავენ ჩვენს სამშობლოსა და დამოუკიდებლობას. ამის შემდეგ მომხსენებელმა გააცნო დამსწრეთ ბათუმის ბედი და ის ნაბიჯები, რაც გადადგა ჩვენი ხალხის მიერ ბათუმის საქართველოსთან შემოერთების შესახებ.

მსმენელები დიდათ კმაყოფილი დარჩენ.

როდესაც თავმჯდომარემ კრება დახურულათ გამოაცხადა,—უცებ გაისმა ხმა:

„გვარდიელებო და ჯარისკაცებო! (უცებ სიჩუმე ჩამოვარდა) გვარდიელებისა და ჯარის კაცების სახელით ვაცხადებ, რომ ჩვენ შეგნებული გვაქვს ჩვენი სამხედრო მოვალეობა, ჩვენ ყოველ წუთს მზათ ვართ დამფუძნებელ კრებისა და მთავრობის მოწოდებაზე ერთად გამოვიდეთ ჩვენი სამშობლოსა და დამოუკიდებლობის მტრების წინააღმდეგ! ჩვენ არ გვაშინებს და ვერც მომავალში შეგვაშინებს ვერც შიმშილი და ვერც ფეხშიშველობა, როდესაც ამას ჩვენი თავისუფლებისა და სამშობლოს დაცვის ინტერესები მოითხოვს.

— გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას და საქართველოს ხალხის გამაგრებულ ჩვენი მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიას!

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს! „ვაშა"! გუგუნებდა დამსწრე საზოგადოება.

ეს იყო ახალციხე არდაგანის ჯარების უფროსი გენერალი წულუკიძე, რომელმაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ჯარსა და გვარდიაში თავისი მოკლე, მაგრამ მკვეთრი სიტყვებით.

ი. ყაჭიაშვილი.

ს.-დ. პარტიაში

ხაშურის რკინის გზის გამგეობაში 24 მარტს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. ხაშურის ორგანიზაციის კომიტეტის კრება, სადაც გარდა კომიტეტის შემადგენლობისა, მოწვეული იყვნენ მოწინავე პარტიული ამხანაგები. დაესწრო მთავარი სახელოსნოდან ამხ. სიხარულიძე.

კრება გახსნა კომიტეტის თავმჯდომარე მარიამიძემ, რომელმაც წარმოადგინა დღიური წესრიგი. კითხვები ყველა საყურადღებო იყო, მაგრამ ყველაზე უფრო სერიოზული და აუცილებლად გადასაწყვეტი იყო პირველი კითხვა, რომელიც შეეხებოდა ხაშურის დეპოში 22 მარტს მომხდარ გაფიცვას და ყოველგვარ მოძრაობის შეწყვეტას, გარდა სამხედროისა.

ამ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს მარიამიძე, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს ამ სამარცხვინო საქმის მომწყობ ავანტიურისტების წინააღმდეგ და სასტიკად გმობს ამ მიზან-შეუწონელ და ჩვენი სახელმწიფოებრივ წინსვლისათვის ხელის შემშლელ საზიზღარ გამოსვლას. ლაპარაკობს მთელი რიგი ორატორებისა, რომლებიც ითვალისწინებენ იმ საზიზღარ პროვოკაციას, რომელიც იყო მიმართული ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრება ხმის დიდი უმეტესობით სასტიკათ გმობს ასეთ გაფიცვას, ენერგიულ პროტესტს უცხადებს მის მომწყობთ და ირჩევს სამი კაცისაგან შემდგარ საგამომძიებლო კომისიას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს: თუ რა პოზიციას იდგნენ ჩვენი ამხანაგები ამ გაფიცვაში და ვინ იყო ინიციატორი ამ უგვანო გამოსვლისა. შემოვიდა წინადადება, რომ კომისიაში არჩეულ იქნეს ორი ხაშურელი ამხანაგი და ერთი მოწვეულ იქნას ცეკადან. წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. კომისიაში ხაშურიდან აირჩიეს: ამხ. შალვა მხეიძე და ამხ. არკადი ხუნდაძე.

დასასრულ ამხ. სიმონ ბაბლიძემ შეიტანა წინადადება, რომ დღესვე აირჩეს ძმათა სასაფლაოზე ძეგლის ამგები კომიტეტის წევრები. კრებამ ეს წინადადებაც უკამათოთ მიიღო და აირჩია: ბაბლიძე, კოშორიძე და არკ. ხუნდაძე.

ხაჭამიახერიძე.

მუშათა შორის

თელავი. 22 მარტს შესდგა თელავის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა. დაესწრო მთელი შემადგენლობა. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) საზაფხულო კლუბის დაარსება, 2) რეპერტუარი, 3) ჯამაგირების მომატება, 4) განცხადებები. საზაფხულო კლუბის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ი. ს. ხუციშვილი, მოხსენება მიღებულ იქნა, აირჩია კომისია, რომელმაც უნდა გამონახოს კლუბისთვის ადგილი და შეიმუშაოს გეგმა მომავალი მოქმედებისთვის. რეპერტუარი თითქმის ფაქტიურად აღარ ჰყავს კლუბს, ქარიშხლი დატოვებს მაინც. ამიტომ გამგეობამ გადასწყვიტა მიმდინარე სეზონში აღარ დაიქირაოს რეჟისორი, შეიმუშაოს ახალი გეგმა, რომლითაც შეიცვლილის სრულებით მუშათა კლუბის მომავალი მოქმედება, გამოიყენებულ ფერადი პროგრამა, მოეწყოს მუშათა კლუბში კონცერტები, სალიტერატურო საღამოები, საბავშვო დილები, დაიდგას ახალი პიესები, მოეწყოს მოხსენებები პოლიტიკურ მომენტებზე და სხვ. ამ მიზნისთვის ამ გამგეობამ აირჩია ხელმძღვანელი კომისია. ჯამაგირების მომატების საკითხი გამგეობამ გადასწყვიტა შემდეგი სახით: დეკორატორ ბაბაიანცს მოემატოს ათასი მანეთი. ბილეთების გამყიდველ ქალს ორასი მანეთი. რეკვიზიტორს ორასი მანეთი 1-ლი თებერვლიდან, პირველ ორს ჯამაგირები ემატებათ 1-ლი მარტიდან. კლუბის დარაჯს გაუზრდეს ჯამაგირი 1500 მ. ამასაც 1-ლი მარტიდან. პიანინოს დამკვრელს მიეცეს თვიურად 1500 მ. მ. ჯანიევისათვის კლუბის დათმობის შესახებ გამგეობამ დაადგინა დაუთმოს ამხ. ჯანიევს ერთი დღე იმ ფარგლებში, რომელსაც შეიმუშავებს ახლად არჩეული კლუბის კომისია. დასასრულ გამგეობამ განიხილა განცხადებები.

ფერხვი.

ავლაბარი. 27 მარტს ავლაბრის მუშათა კლუბში კავსაძის მომღერალთა გუნდმა გამართა კონცერტი. კონცერტს ხალხი საკმაოდ დაესწრო. კავსაძემ წაიკითხა მოკლე შინაარსიანი ლექცია და აუხსნა დამსწრეთ მუსიკის მნიშვნელობა.

ლექცია შინაარსიანი იყო და ხალხმაც ლექტორი ტაშისცემით დააჯილდოვა. შემდეგ გაიმართა სიმღერები ორ განყოფილებათ: კახური, სვანური, მეგრული და სხვა. სიმღერები გვარიანად შესრულდა, მაგრამ ნაკლი მაინც ჰქონდა: როგორც ეტყობოდა, აკლდა ზოგიერთი ხმები, ეს უშლიდა ხელს, როგორც მოძახილს, აგრეთვე გამძახილს. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ ასეთ ნაკლს გუნდი გაასწორებს. კონცერტმა ხალხზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ამასთანავე გვინდა ერთ მოვლენას მივაქციოთ ყურადღება. ეს ნაკლი გარდა სახელმწიფო თეატრისა ყველა პატარა თეატრებშია. ეს არის ის, რომ აფიშებში აცხადებენ დასაწყისი ექვს და შვიდ საათზე და სამწუხაროდ, იწყება ათზე და თერთმეტზე. ნუ თუ ეს შესაძლებელი და მოსახერხებელია, რომ სამი საათის გვიან დაიწყონ წარმოდგენა? ყოველივე ღონე უნდა იღონონ თეატრების ადმინისტრაციამ, რომ ასეთ მოვლენას არ ჰქონდეს ადგილი.

მ. გუბელი.

პროვინცია

ალვანი (თელავის მაზრა). დამფუძნებელ კრების წარსული წლის მეორე სესიამ დააკანონა ალვანის თიანეთის მაზრიდან ჩამოშორება და თელავის მაზრასთან შეერთება. ჯერ კიდევ თვითმმართველობის დროს თხოულობდნენ ალვანის მცხოვრებნი თელავის მაზრასთან შეერთებას, მაგრამ მათი შუამდგომლობა მუდამ უყურადღებოთ რჩებოდა, გადატრიალების შემდეგაც ძალიან გაჭიანურდა ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა. ჯერ დაკანონებული არ იყო შეერთება თელავის მაზრასთან, მაგრამ მისი მცხოვრებნი ფაქტიურად ჩამოშორდნენ თიანეთის მაზრას და დაამყარეს კავშირი თელავის მაზრის ცენტრალურ დაწესებულებასთან. სხვა გზა არა ჰქონდათ მათ, რადგანაც თიანეთის მაზრის ცენტრი ძალიან იყო მათზე დაშორებული და გარდა ამისა, ალვანი უფრო მჭიდროთ იყო დაკავშირებული თელავის მაზრასთან, როგორც ეკონომიურად, ასევე გეოგრაფიულადაც.

თელავის მაზრის დაწესებულებებმაც გაუწიეს ანგარიში ამ გარემოებას და ყოველგვარ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევდნენ ალვანის მცხოვრებთ. თუმცა ხშირად თელავის დაწესებულებებს თავის შეჯავში უხდებოდათ და გამბედავ ნაბიჯებს ვერა სდგავდნენ, რადგან მთავრობის ცენტრალურ დაწესებულებებს შეეძლოთ „არამკითხე მოამბეთ" გამოეცხადებინათ იგინი. ამგვარად ალვანის მცხოვრებნი უკანასკნელი წლების განმავლობაში ორჭოფულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ამგვარმა გარემოებამ დაბადა ალვანის მცხოვრებთა შორის შინაური არევდარევა. ადგილობრივი ადმინისტრატიული აპარატი სრულიად მოშლილი იყო, შკოლებიც, თუმცა ქაღალდზედ ირიცხებოდა და მასწავლებლები ყოველთვის 20 ჯამაგირს იღებდნენ, მაგრამ ფაქტიურად დაკეტილი იყო და არც სწავლა სწარმოებდა; გზები იქამდის იყო გაფუჭებული, რომ მეზობელ მეზობელთან გადასვლა არ შეეძლო. ყველა ჩამოთვლილი მოვლენანი დიდ უიმედობას ჰბადებდნენ მცხოვრებთა შორის და ყოველ ნაბიჯზე საყვედური ესმოდათ, „რომ პატრონი არ გვყავს, არავინ ყურს არ გვიგდებს" და სხვა.

თელავის მაზრასთან მათი შეერთების შემდეგ სულ სხვანაირი განწყობილება არის მცხოვრებთა შორის. თელავის სამაზრო ერობა, ალვანის შეერთების პირველ დღიდანვე შეუდგა ალვანში მუშაობას და მისი შინაური ცხოვრების მოწყობას. ამ წლის იანვრიდან ალვანში მოეწყო და უკვე მუშაობს სათემო თვითმართველობები (ორი თემი: ზემო და ქვემო ალვანში). სწავლა-განათლების საქმე სამაზრო ერობის მეცადინეობით და ადგილობრივ თემების დახმარებით თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება; ადგილობრივმა თემებმა დიდი ყურადღება მიაქციეს აგრეთვე გზების შეკეთებას.

გარდა ამისა, მრავალი სხვა საზრუნავი აქვს ადგილობრივ თემებს, როგორც მაგალითად: საავადმყოფოს მოწყობა, თემების ახლო მდებარე [illegible] დაშრობა, სამკითხველოს გახსნა და მრავალი სხვა ამგვარი კულტურული მიზნების განხორციელება.

ყველა ჩამოთვლილ მიზნების განხორციელება ძალიან ადვილია, რადგანაც ხელს უწყობს ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიური დაწინაურება და შეგნებაც. საჭიროა მხოლოდ თემის გამგეობამ გამოიჩინოს მეტი უნარი და საქმიანობა.

მახლობელი.

ახ. ბათუმი. ჩვენს რკინის გზაზე თუ წინეთ, რევოლუციამდე, სამკითხველოები და მუშათა კლუბები სანთლით საძებარი იყო, დღეს ეს, მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირების შრომითა და მეცადინეობით ყოველ რაიონში არსებობს და იხსნება. ბათუმის რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირიც არ ჩამორჩა თავის ამხანაგებს. კავშირმა ამ ორიოდე თვის წინეთ აირჩია თავის წრიდან კულტურულ განმანათლებელი კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდათ მუშა-მოსამსახურეთა შორის სწავლა-განათლების გასავრცელებლათ ზრუნვა. კომისიამ სულ მოკლე დროში მშვენიერი სამკითხველო მოაწყო თვალსაჩინო ადგილზე, რომლის გახსნა მოხდა 21 მარტს მრავალრიცხოვან მუშა-მოსამსახურეთა თანდასწრებით.

სამკითხველოს გახსნისას, კომისიის წევრმა ამხ. ძიძიგურმა მოკლე და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ქართულ და რუსულ ენაზე და აღნიშნა, თუ რა ძნელ პირობებში უხდებოდა კომისიას მუშაობა.

კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა კომისიის წევრებს.

გ. მახხულია.

სამტრედია. 12 მარტს, რკინის გზის მუშათა კლუბში რევოლუციის 3 წლის აღსანიშნავათ შესდგა მუშა მოსამსახურეთა მრავალ-რიცხოვანი კრება, დაესწრო დამფ. კრების წევრი ამხ. ილია კოპალეიშვილი. თავმჯდომარეობდა ამხ. ივანე კიკაბიძე. ამხ. ილია მოხსენებას აკეთებს რუსეთის დიდი რევოლუციის შესახებ. ის აღნიშნავს მიმდინარე რევოლუციაში ჩვენი პარტიის პოზიციას, რაც კრების მიერ მოწონებულ იქნა. კრება აღფრთოვანებით ეგებება ჩვენი მთავრობის ყოველივე ნაბიჯებს და უსურვებს შემდეგშიც განაგრძოს ეგეთი გზით მოქმედება დემოკრატიის სასარგებლოთ.

რკინის გზის მუშათა კლუბში ყოველ შაბათს იმართება წარმოდგენები. ამ უკანასკნელათ ორი წარმოდგენა გაიმართა დაზარალებულ გვარდიების სასარგებლოთ. პირველი გაიმართა დაბალ და მაღალ დაწყებითი რკინის გზის მასწავლებელთა პედაგოგიურმა საბჭომ, რომლის შემოსავალი წმინდა 21992 მ. და 40 კ. და მეორე წარმოდგენა რაიონულ გამგეობის თაოსნობით წმინდა შემოსავალი დარჩა 6000 მ. სულ 28992 მ. რომლისაგან პირველი უკვე გადაეცა ამხ. ივ. გომართელს სახელზე და მეორე კი რაიონულ გამგეობის განკარგულებაშია ჯერ ჯერობით. წარმოდგენები სისტემატიურათ იმართება, რაც მიიზიდავს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ენერგიულ მოღვაწეობას.

15 მარტს შესდგა ქ. სამტრედიის საბჭოს კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) სამტ. და იორდანე სიხარულიძეების მემკვიდრეთა, ილია ჭეჭეჭიძეს ქუჩაზე მდებარე, ორი სართულიანი შენობის იჯარებით ჩამორთმევა ქალაქის თვითმართველობის საჭიროებისათვის, 2) ზოგიერთი დარგებზე გადასახადების დაწესების საკითხი, 3) შეფასებითი გადასახადების მომატების საკითხი, 4) ცოცხალი საქონლის გასინჯვისათვის გადასახადების საკითხი, 5) მეეტლე და მეზიდე მომატების საკითხი 6) ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებისათვის იაფ-ფასიანი სურსათ-სანოვაგის მიწოდების შესახებ. 7) პარიკმახერების თხოვნა, 8) სავაჭროებზე გაწერილ გადასახადის საკითხი, 9) სასწორების შეძენისათვის 60,000 მ. კრედიტის გახსნის და 10) გამგეობის წევრთა შორის მოვალეობის განაწილების შესახებ. პირველ კითხვაზე საბჭომ დაამტკიცა მისი დადგენილება, მეორე კითხვაზე მიღებულ იქნა შეფასებით გადასახადების 3 % გადიდება დამტკიცებულ იქნა, მესამე კითხვაზე მიღებულ იქნა გამგეობის პროექტი, მეხუთე კითხვა მიღებულ იქნა, მეექვსე კითხვა საბჭომ გადასცა თვითეულ მოსამსახურეთათვის პერსონალურათ 1000 მ. რაც შეადგენს დაახლოებით 150 000 მან. დანარჩენი საკითხები გადაიდო შემდეგისათვის.

ხდგ. ხვიჩია.

წერ. რედაქციის მიმართ

„ერთობის" 14 თებერვლის ნომერში მოთავსებული იყო კორესპონდენცია ზესტაფონიდან „მშობლითაგანის" ფსევდონიმით, სადაც ავტორი ეხებოდა ქალაქის მეორე პირველ დაწყებითი სასწავლებლის გამგეს და მის უმოქმედობას უკავშირებდა სწავლა-აღზრდის საქმეში; თითქოს იქ ორი თვეა მასწავლებლები არ დადიოდნენ და სხვა.

ვინაიდან ეს სასწავლებელი პირდაპირ ქალაქს ექვემდებარება და მის სრულ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება, სიმართლის აღსადგენად ამ საკითხზე უნდა განვაცხადო შემდეგი:

ხსენებულ სასწავლებელში წარსულ თვეებში ერთსა და იმავე დროს „2" მასწავლებელი გახდა ავათ. რათა სწავლა არ შეწყვეტილიყო, ქალაქის გამგეობამ დაავალა სკოლის გამგეს გაკვეთილების დროებით განაწილება დარჩენილ მასწავლებლებთა შორის, რაც მის მიერ კიდეც მოიყვანა სისრულეში. შემდეგ, როდესაც გამოირკვა რომ ერთი მასწავლებელი დიდი ხნის დასვენებას საჭიროებდა ავათმყოფობის გამო, გამგეობამ იქ დანიშნა სათადარიგო მასწავლებელი ქალი, რომელიც ამ ჟამადაც განაგრძობს ამ სასწავლებელში მეცადინეობას.

ის ცნობა თითქოს სასწავლებელში მესამე განყოფილების მოწაფეები მასწავლებლობდნენ—არ შეეფერება სინამდვილეს.

ზესტაფონის ქალაქის გამგეობის წევრი ალ. ცქიტიშვილი.

განცხადებანი

გამოცდილ ბუღალტერს
რომელსაც მიღებია ყოველმხრივი განათლება სხვადასხვა საწარმოებში და სახაზინო დაწესებულებებში 15 წლის განმავლობაში, სურს
გამოიცვალოს ადგილი
მისამართის გაგება შეიძლება გაზ. „ერთობის" რედაქციის კანტორაში.
(1132 4—1)

2[illegible],000 მან. იყიდება 56 ცალი „პარტა".
მისამართი: პლეხანოვის პრ. № 25, შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან. მაღაზიის ბინა. 9—4 ს.
(1126 3-1)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, [illegible] და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 6—7 საათ. კირიჩნაიას ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი
ნ. დ. [illegible]
იღებს შინაგან, სამშობიარო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე [illegible] დილის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. [illegible] ლოხის ქუჩა, № 7, ვორონცოვის [illegible] ლის ახლოს. ტელ. 14—18. 119—

ექიმი
პ. ზ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „9[illegible]" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8 [illegible] საათ. საღ. 5—7 საათ. [illegible] ქ. [illegible] ქუჩის კუთხე, რკინის [illegible] სამმართველოს პირდაპირ. (თ. [illegible]

ნამდვილი ინგლისური
შაგიამანი
გაგზავნით აწყდის მსურველს კანტ[illegible] „ხირ[illegible]" ქ. ბაქო მერკურიევის ქ. 10; ტელეგრამის ადრესი: ბაქო „[illegible]" ტელეფ. 43—35, 24—28. [illegible] მას ჰყავს თავის წარმომადგენელი ბათუმში, მისამართი: ქ. ბათუმი, „[illegible] პალასი" [illegible]. (1097 3—1

ექიმი
დომ. კოხი, მე ყრანაშვილი
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 ს. სასამართლოს ქუჩა № 52.
(თ. 56)

დოქტორი მედიცინისა [illegible] ... [illegible] კლინიკებისა
მ. შ. მუზრაბიანი
შინაგანი ავადმყ. [illegible] იღებს რენტგენის ელექტრო-[illegible] კაბინეტში. [illegible] X-ს სხივებით. [illegible] 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. [illegible] ქ. № 38, ტელეფ. 7—92. [illegible] (თ.63

ექიმი [illegible]
[illegible]

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნ. „606" და „914") ვენერიული და კ[illegible] სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამო 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილის პროსპექტი № 116, სასტუმ[illegible] „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—26
(154—[illegible]

კერძო სამკურნალო
ექ. ი. მ. მქინარიშვილი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და [illegible] ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10— მიიღება ყოველგვარ სნეულებით ავადმყოფებისა დილის 8—3 საათამდე, ნერვიულით, სიფილისით და კანის [illegible] ულებით დაავადმყოფებულნი მიიღებ[illegible] აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახს[illegible] სათვის უფასოთ დილის 8—11 საათ.
იღებენ ექიმები:
ი. კ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. გ. ჯაჯანაშვილი—შინაგანი და [illegible] შვების ავადმყ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგ. ავადმყ. მიკრო—ხიმ. ანალიზი
ა. გ. მაჭავარიანი—ხირურგ. ავადმყ.
გ. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სი[illegible] ლისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. [illegible]—ყურის, ყელის ცხვირის სნეულ[illegible]
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავადმყ.
გ. დ. [illegible]—ქალის ავადმყ. სამშობიარო
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, [illegible] შეშხაპუნება, [illegible] აცრა, „606" და „914" შეშხაპუნება აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევა (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის, შარდის, განა-ვალის და სხვ. (თ. 009

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველ დღე 12—2 საღამოს 6—7. სპეციალურად სამშობიარო ქალების ავადმყოფობა. ვენერიული ავადმყოფობა.

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6— საათამდე. [illegible] ქუჩა № [illegible] [illegible]